

CAUCASCERT LLC	Production Rules and Recordkeeping Rules ბიოწარმოების და ჩანაწერების წარმოების წესები	Code: GC-DM-PRRR-10.10
----------------	--	---

წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება Annex II of Reg 2018/848, Reg. 2021/1691 და Reg. 2020/427 of 13 January 2020 მისი განახლება ხდება ბიოწარმოების და ჩანაწერების წარმოების წესებში ცვლილებების შესაბამისად.

დანართი II
თავში III მოხსენიებული წარმოების დეტალური წესები

ნაწილი I: მცენარეების წარმოების წესები

მე-9 – 12 მუხლებში მითითებული წარმოების წესების გარდა, მოცემულ ნაწილში წარმოდგენილი წესები ასევე ეხება ორგანული მცენარეების წარმოებას.

1. ზოგადი მოთხოვნები

1.1. ორგანული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, გარდა იმ პროდუქტებისა, რომლებიც ბუნებრივად იზრდება წყალში, უნდა მოიყვანონ ცოცხალ ნიადაგში ან იმ მასალებითა და პროდუქტებით გაჯერებულ ან განოყიერებულ ნიადაგში, რომლებიც დაშვებულია ორგანულ წარმოებაში ქვენიდაგებთან და ქანთან კავშირში

1.2. ჰიდროპონიკული წარმოება არის იმ მცენარეების მოყვანის მეთოდი, რომლებიც ბუნებრივად წყალში არ იზრდება. მათი ფესვები განთავსებულია მხოლოდ მკვებავ ხსნარში ან ინერტულ სუბსტრატში, რომელსაც მკვებავი ელემენტები აქვს დამატებული. ჰიდროპონიკული წარმოება აკრძალულია.

1.3. პუნქტ 1.1.-იდან გამონაკლისის სახით, დაიშვება შემდეგი:

(ა) გაღვივებული თესლის წარმოება, რომელიც მოიცავს ღივებს, ყლორტებსა და სასალათე აღმონაცენს, რომლებიც ვითარდება მხოლოდ თესლის სამარაგო საკვები ნივთიერებების ხარჯზე და რომელიც მიიღება თესლის სუფთა წყალში ჩაძირვით, იმ პირობით, რომ თესლი ორგანულია. საკვები არის გამოყენება დაუშვებელია, მაგრამ დაშვებულია ინერტული არის გამოყენება, თუ ამის მიზანი მხოლოდ თესლში ტენის შენარჩუნებაა და თუ ამ არის შემადგენელი კომპონენტები ნებადართულია 24-ე მუხლის შესაბამისად.

(ბ) ვარდკაჭაჭას თავების მიღება, მათ შორის მათი სუფთა წყალში ჩაძირვით, იმ პირობით, თუ მცენარეთა რეპროდუქციული მასალა ორგანულია. საკვები არის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი კომპონენტები ნებადართულია 24-ე მუხლის შესაბამისად

1.4. პუნქტი 1.1.-იდან გამონაკლისის სახით დაიშვება შემდეგი პრაქტიკა:

- (ა) მცენარეების გაზრდა ქოთნებში დეკორატიული მცენარეებისა და მწვანლის წარმოების მიზნით, როცა ისინი საბოლოო მომხმარებელზე ქოთნით გაიყიდება
- (ბ) სარგავი მასალის ან გადასარგავად გამოიზნული მცენარეების კონტეინერებში გამოყვანა შემდგომი გადარგვის მიზნით.

Created: ND Date: 01.01.22	Revised: EP, ZN, Date: 07.04.24	Authorised: QM Date: 07.04.24	Version # 2	Nonconfidential	pages: 1-of 61
-------------------------------	------------------------------------	----------------------------------	-------------	-----------------	-------------------

1.6. მცენარეების წარმოების ყველა გამოყენებულმა მეთოდმა თავიდან უნდა აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოს დაზინძურება.

1.7. კონვერსია

1.7.1. იმისათვის, რომ მცენარეები და მცენარეული პროდუქტები ორგანულ პროდუქტად ჩაითვალოს, კონვერსიის პერიოდში ნაკვეთებისთვის უნდა გამოიყენებოდეს წინამდებარე რეგულაციაში განსაზღვრული წარმოების წესები, სულ მცირე, ორი წლის განმავლობაში დათესვამდე; სათიბ-სადოვრის ან მრავალწლიანი საკვები კულტურისათვის, სულ მცირე, ორი წლის განმავლობაში ცხოველის ორგანულ საკვებად გამოყენებამდე ან საკვები კულტურის გარდა, სხვა მრავალწლიანი სასოფლოსამეურნეო კულტურებისათვის, სულ მცირე, სამი წლის განმავლობაში ორგანული პროდუქტის მოსავლის აღებამდე.

1.7.2. თუ მიწა ან მისი ერთი ან მეტი ნაკვეთი დაზინძურებულია პროდუქტებით ან ნივთიერებებით, რომლებიც ორგანულ წარმოებაში აკრძალულია, უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება გადაწყვიტოს 1.7.1. პუნქტში მითითებული კონვერსიის ვადის გახანგრძლივება შესაბამისი მიწისა და მიწის ნაკვეთებისთვის.

1.7.3. თუ დამუშავდა ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად აკრძალული პროდუქტით ან ნივთიერებით, უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა მოითხოვოს კონვერსიის ახალი პერიოდის ათვლა 1.7.1 პუნქტის შესაბამისად. ეს პერიოდი შეიძლება შემცირდეს შემდეგ ორ შემთხვევაში:

(ა) თუ ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტით ან ნივთიერებით დამუშავება როგორც მავნებლების ან სარეველებისა, მათ შორის, საკარანტინო ორგანიზმების ან ინვაზიური სახეობებისა, სავალდებულო კონტროლის ღონისძიების ნაწილია და დადგენილია უფლებამოსილ

(ბ) თუ ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტით ან ნივთიერებით დამუშავება ნებადართულია უფლებამოსილი კომპეტენტური ეროვნული ორგანოს მიერ სამეცნიერო ცდების ფარგლებში

1.7.4. 1.7.2 და 1.7.3 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში კონვერსიის პერიოდის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

(ა) შესაბამისი პროდუქტის ან ნივთიერების დეგრადაციის პროცესმა უნდა უზრუნველყოს კონვერსიის პერიოდის დასრულებისას ნარჩენების უმნიშვნელო დონე ნიადაგში, ხოლო მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, მცენარეში

(ბ) დამუშავების შემდეგ მიღებული მოსავალი არ შეიძლება განთავსდეს ბაზარზე, როგორც ორგანული ან კონვერსიული პროდუქტი.

1.7.4.2. ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტით ან ნივთიერებით დამუშავებისას 1.7.5 (ბ) პუნქტი არ გამოიყენება.

1.7.5. ორგანული მეცხოველეობის წარმოებასთან დაკავშირებული მიწისათვის:
(ა) კონვერსიის წესები ვრცელდება საწარმოო ერთეულის მთელ იმ ფართობზე, რომელზედაც მზადდება ცხოველის საკვები;
(ბ) (ა) ქვეპუნქტის მიუხედავად, კონვერსიის პერიოდი შეიძლება შემცირდეს ერთ წლამდე იმ სამოვრებისა და სასაქონლო ადგილებისთვის, რომლებსაც არაბალახისმჭამელი ჯიშები იყენებენ.

1.8. მცენარეების წარმოშობა მცენარეთა რეპროდუქციული მასალის ჩათვლით

1.8.1. მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების წარმოებისთვის, მცენარეთა რეპროდუქციული მასალის გარდა, გამოიყენება მხოლოდ ორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალა.

1.8.2. პროდუქტების წარმოებისთვის, გარდა მცენარის რეპროდუქციული მასალისა, ორგანული მცენარეების რეპროდუქციული მასალის მისაღებად დედამცენარის და, საჭიროების შემთხვევაში, მცენარეთა რეპროდუქციული მასალის წარმოებისთვის განკუთვნილი სხვა მცენარეები, სულ მცირე, ერთი თაობა უნდა მოიყვანონ წინამდებარე დებულების შესაბამისად. მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, სულ მცირე, ერთი თაობა ორი სეზონის განმავლობაში.

1.8.3. ორგანული მცენარეების რეპროდუქციული მასალის არჩევისას ოპერატორებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ ორგანული სოფლის მეურნეობისთვის შესაფერის ორგანულ მცენარეთა რეპროდუქციულ მასალას.

1.8.4. ორგანული წარმოებისთვის შესაფერისი ორგანული ჯიშების გამოყვანისას ორგანული სელექციის ღონისძიებები უნდა ჩატარდეს ორგანულ პირობებში და ყურადღება უნდა გამახვილდეს გენეტიკური მრავალფეროვნების ამღლებზე, ბუნებრივ რეპროდუქციულ უნარზე, აგრეთვე, აგრონომიულ მწარმოებლურობაზე, დაავადებათა მიმართ გამძლეობაზე და სხვადასხვაგვარი ადგილობრივი ნიადაგური და კლიმატური პირობების მიმართ შეგუებულობაზე.

გამრავლების ყველა პრაქტიკა, გარდა მერისტემის კულტურისა, უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული ორგანული მენეჯმენტის პირობებში.

1.8.5. კონვერსიული და არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალის გამოყენება.

1.8.5.1. 1.8.1. პუნქტიდან გამონაკლისის სახით, თუ 26-ე (1) მუხლში მოხსენიებულ მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემები ან 26-ე (2) მუხლში მოხსენიებული სისტემა აჩვენებს, რომ შესაბამისი მცენარეთა ხელმისაწვდომი ორგანული რეპროდუქციული მასალა ვერ აკმაყოფილებს ოპერატორისთვის საჭირო თვისებრივ ან რაოდენობრივ მოთხოვნებს, ოპერატორს შეუძლია გამოიყენოს კონვერსიულ მცენარეთა რეპროდუქციული მასალა მე-10 (4) მუხლის მეორე პუნქტის (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად ან მცენარეთა რეპროდუქციული მასალა 1.8.6. პუნქტის შესაბამისად. გარდა ამისა, ორგანული სარგავი მასალის არასაკმარისი ხელმისაწვდომობის

შემთხვევაში, შეიძლება იყოს გამოყენებული კონვერსიული სარგავი მასალა, რომელიც მიეწოდება ბაზარს მე-10 (4) მუხლის მეორე პუნქტის (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ ის გამოყვანილია შემდეგნაირად: (ა) თესლიდან საბოლოო სარგავ მასალამდე კულტივაციის პერიოდი შეადგენს არანაკლებ 12-თვეს, ხოლო მიწის ნაკვეთმა, რომელზეც გამოყვანილია ეს სარგავი მასალა, იმავე პერიოდში დაასრულა მინიმუმ 12-თვიანი გარდამავალი პერიოდი. (ბ) მიწის ორგანულ ან კონვერსიაში მყოფ ნაკვეთზე, ან კონტეინერებში, თუ დაშვებულია შესაბამისი გამონაკლისი 1.4-ე პუნქტის შესაბამისად, და იმ პირობით თუ სარგავი მასალა გამოყვანილია კონვერსიული თესლისგან, რომელიც მიღებულია კონვერსიულ ნაკვეთზე მოყვანილი მცენარისგან და თუ ამ ნაკვეთს დასრულებული აქვს მინიმუმ 12-თვიანი კონვერსიის პერიოდი. თუ მცენარეთა ორგანული რეპროდუქციული მასალა ვერ აკმაყოფილებს ოპერატორისთვის საჭირო თვისებრივ ან რაოდენობრივ მოთხოვნებს, უფლებამოსილ კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია დართოს არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალის გამოყენების ნება 1.8.5.3 - 1.8.5.7 პუნქტების შესაბამისად.

ასეთი ინდივიდუალური ნებართვები უნდა გაიცეს მხოლოდ შემდეგი სიტუაციებიდან ერთერთ შემთხვევაში:

- (ა) როდესაც სახეობის ჯიში, რომელიც სჭირდება ოპერატორს, არ არის დარეგისტრირებული 26-ე (1) მუხლში მოხსენიებულ მონაცემთა ბაზაში ან 26-ე (2) მუხლის (ა) ქვეპუნქტში მოხსენიებულ სისტემაში.
- (ბ) როდესაც არც ერთ მომწოდებელს, რომელშიც იგულისხმება მცენარეთა რეპროდუქციული მასალის გამყიდველი ოპერატორი, არ შეუძლია შესაბამისი ორგანული ან კონვერსიული მცენარეთა რეპროდუქციული მასალის დროულად მოწოდება თესვისა ან დარგვის ვადების გათვალისწინებით იმ პირობით, რომ მცენარეთა რეპროდუქციული მასალა შეკვეთილია წინასწარ, რათა მომწოდებელს საკმარისი დრო ჰქონოდა ორგანული ან კონვერსიული მცენარეთა რეპროდუქციული მასალის მოსამზადებლად და მისაწოდებლად.
- (გ) როდესაც ჯიში, რომელიც სჭირდება ოპერატორს, არ არის დარეგისტრირებული 26-ე (1) მუხლში მოხსენიებულ მონაცემთა ბაზაში ან 26-ე (2) მუხლის (ა) ქვეპუნქტში მოხსენიებულ სისტემაში, როგორც ორგანული ან კონვერსიული მცენარის რეპროდუქციული მასალა და ოპერატორს შეუძლია დაამტკიცოს, რომ იგივე სახეობის დარეგისტრირებულ მასალებს შორის არ არის არც ერთი მისი მეურნეობის აგრონომიული ან ნიადაგურ-კლიმატური პირობებისთვის ან წარმოების ტექნოლოგიისათვის შესაფერისი, და ამდენად, ნებართვა მისი წარმოებისთვის მნიშვნელოვანია.

(დ) როდესაც გამოყენება დასაბუთებულია კვლევისთვის, მცირე-მასშტაბიანი საველე ცდებისთვის, ჯიშის კონსერვაციისათვის ან ახალი პროდუქტის მიღებისათვის და შეთანხმებულია წევრი ქვეყნის უფლებამოსილ კომპეტენტურ ორგანოებთან.

ასეთი ნებართვის მოთხოვნამდე, ოპერატორმა უნდა შეამოწმოს 26-ე (1) მუხლში მოხსენიებული მონაცემთა ბაზა ან 26-ე (2) მუხლის (ა) ქვეპუნქტში მოხსენიებული სისტემა, რომ დარწმუნდეს, არის თუ არა ხელმისაწვდომი შესაბამისი ორგანული ან კონვერსიული მცენარის რეპროდუქციული მასალა და ამდენად, არის თუ არა მისი თხოვნა დასაბუთებული.

26-ე (1) მუხლში მოხსენიებულ მონაცემთა ბაზაში ან 26-ე (2) მუხლის (ა) ქვეპუნქტში მოხსენიებულ სისტემაში შესაბამისი ხარისხისა და რაოდენობის მცენარის რეპროდუქციული.

მასალის ხელმისაწვდომობა არ ახდენს გავლენას ოპერატორის უფლებაზე, მე-6 (ი) მუხლის შესაბამისად, გამოიყენოს მის მეურნეობაში წარმოებული როგორც ორგანული, ისე კონვერსიული მცენარის რეპროდუქციული მასალა.

1.8.5.2. 1.8.1. პუნქტიდან გამონაკლისის სახით, მესამე ქვეყნების ოპერატორებს უფლება აქვთ გამოიყენონ კონვერსიული მცენარეთა რეპროდუქციული მასალა მე-10 (4) მუხლის მე2 აბზაცის (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ან მცენარეთა რეპროდუქციული მასალა 1.8.6-ე პუნქტის შესაბამისად, როდესაც დასაბუთებულია, რომ ეს მასალა არ არის ხელმისაწვდომი საკმარისი რაოდენობითა და ხარისხით მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც ოპერატორი საქმიანობს.

შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის გარეშე, მესამე ქვეყნების ოპერატორებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარ მეურნეობაში წარმოებული როგორც ორგანული, ისე კონვერსიული მცენარეთა რეპროდუქციული მასალა.

46-ე (1) მუხლის შესაბამისად აღიარებულ უფლებამოსილ მაკონტროლებელ ორგანოებს ან მაკონტროლებელ ორგანოებს შეუძლიათ მესამე ქვეყნებში ოპერატორებს ნება დართონ გამოიყენონ არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალა ორგანულ საწარმოო ერთეულში, როდესაც მცენარეების ორგანული ან კონვერსიული რეპროდუქციული მასალა ან 1.8.6-ე პუნქტთან შესაბამისობაში ნებადართული მცენარეული რეპროდუქციული მასალა არ არის საკმარისი ხარისხის ან რაოდენობით ხელმისაწვდომი იმ მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ოპერატორი საქმიანობს. აღნიშნული უფლება მინიჭებული უნდა იყოს 1.8.5.3, 1.8.5.4 1.8.5.5 და 1.8.5.8 პუნქტებში გათვალისწინებული პირობებით.

1.8.5.3. არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალა შეიძლება დამუშავდეს მოსავლის აღების შემდეგ მცენარეთა დაცვის მხოლოდ იმ საშუალებებით, რომლებიც ნებადართულია წინამდებარე რეგულაციის 24-ე (1) მუხლის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ქიმიური დამუშავება ტარდება (EU) No 2016/2031 რეგულაციის შესაბამისად, ფიტოსანიტარული მიზნებისთვის, წვერი ქვეყნის უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილი წესით მოცემული სახეობის ყველა ჯიშსა და ჰეტეროგენულ მასალაზე იმ მხარეში, რომელშიც მცენარის რეპროდუქციული მასალა გამოიყენება.

პირველი აზვაცის შესაბამისად დადგენილი წესით დამუშავებული არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალის გამოყენების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთმა, რომელზეც დაითესა ან დაირგო დამუშავებული მცენარეთა რეპროდუქციული მასალა, სადაც მიზანშეწონილია, თავიდან უნდა გაიაროს კონვერსია 1.7.3 და 1.7.4 პუნქტების შესაბამისად.

1.8.5.4. არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალის გამოყენების ნებართვა მიღებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურის დათესვამდე ან დარგვამდე

1.8.5.5. არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალის გამოყენების ნებართვა უნდა მიენიჭოს ცალკეულ მომხმარებლებს, ერთჯერადად ერთი სეზონის განმავლობაში და ნებართვების გაცემაზე პასუხისმგებელმა უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ, უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ ან მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა შეიმუშავოს სია ნებადართულ მცენარეთა რეპროდუქციული მასალის რაოდენობებისთვის.

1.8.5.8. კომპეტენტური ორგანოები არ აძლევენ უფლებას არაორგანული ნერგების გამოყენებას იმ სახეობების ნერგების შემთხვევაში, რომლებსაც აქვთ გაშენების ციკლი დასრულებული ერთ სავეგეტაციო სეზონზე, ნერგის გადანერგვიდან პროდუქტის პირველ მოსავალამდე.

1.8.6. კომპეტენტურ ორგანოებს ან, საჭიროების შემთხვევაში, საკონტროლო ორგანოებს ან კონტროლის ორგანოებს, რომლებიც აღიარებულია 46(1) მუხლის შესაბამისად, შეუძლიათ მცენარეთა რეპროდუქციული მასალის მწარმოებელ ოპერატორებს უფლება მისცენ ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად გამოიყენონ არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალა, როდესაც დედა მცენარეები ან, საჭიროების შემთხვევაში, მცენარეთა რეპროდუქციული მასალის წარმოებისთვის განკუთვნილი სხვა მცენარეები, რომლებიც წარმოებულია 1.8.2 პუნქტის შესაბამისად, არ არის ხელმისაწვდომი საკმარისი რაოდენობით ან ხარისხით, და ასეთი მასალის ბაზარზე განთავსება ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად შემდეგი პირობების დაცვით:

(ა) გამოყენებული არაორგანული მცენარის რეპროდუქციული მასალა მოსავლის აღების შემდეგ არ იქნა დამუშავებული მცენარეთა დაცვის საშუალებებით, გარდა ამ რეგლამენტის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ნებართვისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქიმიური დამუშავება არ არის დადგენილი რეგულაციის (EU) შესაბამისად. 2016/2031 ფიტოსანიტარიული მიზნებისთვის შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ მოცემული სახეობის ყველა ჯიშისა და ჰეტეროგენული მასალისთვის იმ ტერიტორიაზე, სადაც უნდა იქნას გამოყენებული მცენარეთა რეპროდუქციული მასალა. როდესაც გამოიყენება არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალა, რომელიც დამუშავებულია ასეთი დადგენილი ქიმიური დამუშავებით, მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იზრდება

CAUCASCERT LLC	Production Rules and Recordkeeping Rules ბიოწარმოების და ჩანაწერების წარმოების წესები	Code: GC-DM-PRRR-10.10
----------------	--	---

დამუშავებული მცენარეული რეპროდუქციული მასალა, ექვემდებარება, საჭიროების შემთხვევაში, გარდაქმნის პერიოდს, როგორც ეს გათვალისწინებულია 1.7.3 და 1.7.4 პუნქტებში. ;

ბ) გამოყენებული მცენარეების არაორგანული რეპროდუქციული მასალა არ არის იმ სახეობების ნერგი, რომლებსაც აქვთ კულტივირების ციკლი დასრულებული ერთი ვეგეტაციის პერიოდში, ნერგის გადანერგვიდან პროდუქტის პირველ მოსავალამდე;

(c) მცენარეთა რეპროდუქციული მასალა იზრდება მცენარეთა ორგანული წარმოების ყველა სხვა შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად;

დ) მცენარეთა არაორგანული რეპროდუქციული მასალის გამოყენების ნებართვა უნდა იქნას მიღებული ამ მასალის დათესვამდე ან დარგვამდე;

(ე) ავტორიზაციაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანო, კონტროლის ორგანო ან კონტროლის ორგანო უფლებამოსილებას ანიჭებს მხოლოდ ცალკეულ მომხმარებლებს და ერთ სეზონზე და ჩამოთვლის უფლებამოსილი მცენარეთა რეპროდუქციული მასალის რაოდენობას;

ვ) (ე) პუნქტიდან გადახრის გზით, წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ ყოველწლიურად მიანიჭონ ზოგადი ნებართვა მოცემული სახეობის ან ქვესახეობის ან მცენარეთა არაორგანული რეპროდუქციული მასალის ჯიშის გამოყენებისათვის და შეადგინონ სახეობების სია. , ქვესახეობები ან ჯიშები საჯაროდ ხელმისაწვდომი და განაახლეთ ყოველწლიურად. ამ შემთხვევაში, ამ კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა ჩამოთვალონ უფლებამოსილი არაორგანული მცენარეული რეპროდუქციული მასალის რაოდენობა;

ზ) ამ პუნქტის შესაბამისად მინიჭებული უფლებამოსილების ვადა იწურება 2036 წლის 31 დეკემბერს.

1.9. ნიადაგის მართვა და განაყოფიერება

1.9.1. ორგანულ მცენარეთა წარმოებისას გამოყენებული უნდა იყოს მოხვნისა და დამუშავების პრაქტიკა, რომლებიც ინარჩუნებს და ზრდის ნიადაგში ორგანული ნაერთების რაოდენობას, აძლიერებს ნიადაგის სტაბილურობას, მის ბიომრავალფეროვნებას და ხელს უშლის ნიადაგის გამკვრივებასა და ეროზიას.

1.9.2. ნიადაგის ნაყოფიერება და ბიოლოგიური აქტიურობა უნდა შენარჩუნდეს და გაიზარდოს:

(ა) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალწლიანი თესლბრუნვით, რომელშიც სავალდებულოა პარკოსნების, როგორც ძირითად, ისე საფარ კულტურებად ჩართვა და სხვა სასიდეარაციო კულტურების გამოყენება, სათიბ-სადოვრის ან მრავალწლიანი საფურაჟე კულტურების გამოკლებით;

(ბ) სასათბურე მეურნეობების ან მრავალწლოვანი კულტურებისათვის, გარდა საკვები კულტურებისა, მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე სასიდეარაციო კულტურებისა და პარკოსნების, აგრეთვე მცენარეული მრავალფეროვნების გამოყენებით; და

Created: ND Date: 01.01.22	Revised: EP, ZN, Date: 07.04.24	Authorised: QM Date: 07.04.24	Version # 2	Nonconfidential	pages: 7-of 61
-------------------------------	------------------------------------	----------------------------------	-------------	-----------------	-------------------

(გ) ყველა შემთხვევაში ორგანული წარმოებიდან მიღებული პირუტყვის ნაკელით ან ორგანული ნივთიერებების გამოყენებით. ორივე სასურველია იყოს კომპოსტირებული.

1.9.3. როდესაც მცენარეთა კვების საჭიროებების დაკმაყოფილება 1.9.1 და 1.9.2 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებებით ვერ მიიღწევა, გამოიყენება მხოლოდ ის სასუქები და ნიადაგის მელიორანტები, რომლებიც, 24-ე მუხლის შესაბამისად, ნებადართულია ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად მხოლოდ იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა. ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები ამ პროდუქტების გამოყენების შესახებ, მათ შორის მიუთითონ თითოეული პროდუქტის გამოყენების თარიღი ან თარიღები, პროდუქტის დასახელება, გამოყენებული რაოდენობა და დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა და ნაკვეთები.

1.9.4. ცხოველთა ნაკელის მთლიანი რაოდენობა, რომელიც გამოიყენება კონვერსიულ და ორგანულ წარმოებაში, არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 170 კგ აზოტს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ფართობის ერთ ჰექტარზე გადათვლით. ეს ზღვარი ვრცელდება მხოლოდ მეურნეობის ნაკელზე, მეურნეობის გადამწვარ ნაკელზე, ფრინველის გამომშრალ ნაკელზე, ცხოველთა კომპოსტირებულ ექსკრემენტებზე ფრინველის ნაკელის ჩათვლით, მეურნეობის კომპოსტირებულ ნაკელზე და ცხოველების თხევად ექსკრემენტზე.

1.9.5. სასოფლო-სამეურნეო მეურნეობების ოპერატორებმა შეიძლება ექსკლუზიურად დადონ თანამშრომლობაზე წერილობითი ხელშეკრულებები სხვა სასოფლო-სამეურნეო მეურნეობების ოპერატორებთან და საწარმოებთან, რომლებიც ორგანული წარმოების წესებს აკმაყოფილებენ ორგანული წარმოებიდან მიღებული ჭარბი ნაკელის გამოყენების შესახებ. 1.9.4 პუნქტში მითითებული მაქსიმალური ზღვარი გამოითვლება ამ თანამშრომლობაში მონაწილე ორგანული წარმოების ყველა ჩართული ერთეულის მიხედვით.

1.9.6. მიკროორგანიზმების პრეპარატები შეიძლება გამოიყენებოდეს ნიადაგის საერთო მდგომარეობის ან ნიადაგში ან სასოფლო-სამეურნეო კულტურებში საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობის 101 of 170 გასაუმჯობესებლად.

1.9.7. კომპოსტის გასააქტიურებლად შეიძლება გამოიყენებოდეს შესაბამისი მცენარეზე დაფუძნებული პრეპარატები და მიკროორგანიზმების პრეპარატები.

1.9.8. მინერალური აზოტოვანი სასუქების გამოყენება დაუშვებელია.

1.9.9. ბიოდინამიკური პრეპარატების გამოყენება შესაძლებელია.

1.10. მავნებლებისა და სარეველების მართვა

1.10.1. მავნებლებისა და სარეველებისგან მიყენებული ზიანის პრევენციისათვის, პირველ რიგში, უნდა გამოიყენებოდეს მცენარეთა დაცვის შემდეგი მეთოდები:

Created: ND Date: 01.01.22	Revised: EP, ZN, Date: 07.04.24	Authorised: QM Date: 07.04.24	Version # 2	Nonconfidential	pages: 8-of 61
-------------------------------	------------------------------------	----------------------------------	-------------	-----------------	-------------------

- ბუნებრივი მტრები;
- ჯიშები, სახეობები და ჰეტეროგენული მასალის შერჩევა;
- თესლბრუნვა;
- კულტივაციის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ბიოფუმიგაცია, მექანიკური და ფიზიკური მეთოდები;
- თერმული პროცესები, როგორებიცაა: სოლარიზაცია და დაცული გრუნტის კულტურებისათვის ნიადაგის ზედაპირული დამუშავება ორთქლით (მაქსიმალური სიღრმე 10 სმ).

1.10.2. იმ შემთხვევაში, თუ მცენარეთა სათანადო დაცვა მავნებლებისგან ვერ ხდება 1.10.1 პუნქტით გათვალისწინებული ზომებით ან თუ სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე დადგენილია საფრთხე, გამოიყენება მხოლოდ მე-9 და 24-ე მუხლების შესაბამისად ნებადართული ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებელი პროდუქტები და ნივთიერებები მხოლოდ იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა. ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები, რომლებიც ამ პროდუქტების გამოყენების საჭიროებას ადასტურებს. ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები, რომლებიც ამ პროდუქტების გამოყენების საჭიროებას ადასტურებს, რაც ასევე მოიცავს თითოეული პროდუქტის გამოყენების თარიღს ან თარიღებს, პროდუქტის დასახელებას, გამოყენებულ რაოდენობას, დამუშავებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურას და ნაკვეთებს, აგრეთვე გასაკონტროლებელ მავნებელსა და დაავადებას.

1.10.3. ხაფანგებში ან დისპენსერებში გამოყენებულმა პროდუქტებმა და ნივთიერებებმა, გარდა ფერომონებისა, ხელი არ უნდა შეუწყონ ამ პროდუქტებისა და ნივთიერებების გარემოში გავრცელებას და პროდუქტებს, ნივთიერებებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის კონტაქტს. ყველა ხაფანგი, მათ შორის, ფერომონის ხაფანგიც, გამოყენების შემდეგ უნდა შეგროვდეს უსაფრთხოდ და განადგურდეს.

1.11. დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის გამოყენებული პროდუქტები
 მცენარეული წარმოებისას ამ მიზნით შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ 24-ე მუხლით ნებადართული პროდუქტები ორგანულ წარმოებაში. ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები ამ პროდუქტების გამოყენების შესახებ, თითოეული პროდუქტის გამოყენების თარიღის ან თარიღების, პროდუქტის დასახელების, მისი აქტიური ნივთიერებებისა და მისი გამოყენების ადგილის ჩათვლით.

1.12. ჩანაწერების წარმოების ვალდებულება.
 ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები შესაბამისი ნაკვეთისა და მოსავლის რაოდენობის შესახებ. კერძოდ, ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები მეურნეობის გარედან მიღებულ ყველა საწარმოო საშუალების ნაკვეთების მიხედვით

გამოყენებაზე, და სადაც მიზანშეწონილია, შეინახონ ხელმისაწვდომად დოკუმენტური დასტური წარმოების წესებიდან ნებისმიერი გამონაკლისის შესახებ, რომელიც მიღებული იქნება 1.8.5 პუნქტის შესაბამისად.

1.13. დაუმუშავებელი პროდუქტების დამზადება-დამუშავება.

თუ პროდუქტის დამზადება-დამუშავების ოპერაციები, გარდა გადამუშავებისა, ხორციელდება მცენარეებზე, ამგვარი ოპერაციებისათვის გამოიყენება IV ნაწილის 1.2, 1.3, 1.4, 1.5 და 2.2.3 პუნქტებში გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნები შესაბამისი ცვლილებებით.

2. დეტალური წესები კონკრეტული მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტებისთვის.

2.1. სოკოს წარმოების წესები

სოკოების წარმოებისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს სუბსტრატები, თუ ისინი შედგება მხოლოდ შემდეგი კომპონენტებისგან:

- (ა) სადგომის ნაკელისა და ცხოველების ექსკრემენტისგან:
 - (i) ორგანული საწარმოო ერთეულისგან ან კონვერსიის მეორე წელზე მყოფი კონვერსიული ერთეულისგან;
 - (ii) 1.9.3 პუნქტის მითითებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (i) პუნქტში მითითებული პროდუქტი არ არის ხელმისაწვდომი, იმ პირობით, რომ მეურნეობის ნაკელი და ცხოველების ექსკრემენტი არ აღემატება სუბსტრატის მთლიანი კომპონენტების წონის 25%-ს რომელშიც არ შედის დასაფარი მასალა და ნებისმიერი კომპოსტირებამდე დამატებული წყალი;
- (ბ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტები ორგანულ საწარმოო ერთეულებისგან, გარდა (ა) პუნქტში მითითებული პროდუქტებისა;
- (გ) ტორფი, რომელიც არ არის დამუშავებული ქიმიური ნივთიერებებით;
- (დ) ხე, რომელიც გაკაფვის შემდეგ არ არის დამუშავებული ქიმიური ნივთიერებებით;
- (ე) მინერალური პროდუქტები, რომლებიც მითითებულია 1.9.3 პუნქტში, წყალი და ნიადაგი.

2.2. ველური მცენარეების შეგროვებასთან დაკავშირებული წესები

იმ ველური მცენარეებისა და მათი ნაწილების შეგროვება, რომლებიც ბუნებრივად იზრდება ბუნებრივ ადგილებში, ტყეებსა და სასოფლო-სამეურნეო ადგილებში, ორგანულ წარმოებად ითვლება, იმ პირობით, თუ:

- (ა) შეგროვებამდე, სულ მცირე, სამი წლის განმავლობაში, ეს ადგილები არ ყოფილა დამუშავებული სხვა პროდუქტებით ან ნივთიერებებით, გარდა მე-9 და 24-ე მუხლებში ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართული პროდუქტების ან ნივთიერებებისა;

(ბ) შეგროვებას არა აქვს გავლენა ბუნებრივი გარემოს სტაბილურობაზე ან შეგროვების ზონაში სახეობათა შენარჩუნებაზე. ოპერატორებმა უნდა აწარმოონ შეგროვების პერიოდის და ადგილმდებარეობის, შესაბამისი სახეობებისა და შეგროვებული ველური მცენარეების რაოდენობის შესახებ ჩანაწერები.

ნაწილი II: შინაური ცხოველების წარმოების წესები

მე-9, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებით განსაზღვრული წარმოების წესების გარდა, წინამდებარე ნაწილში ჩამოთვლილი წესები უნდა გავრცელდეს ორგანული მეცხოველეობის წარმოებაზე

1. ზოგადი მოთხოვნები

1.1. მეფუტკრეობის გარდა, აკრძალული უნდა იყოს ცხოველთა მოვლა-პატრონობა მიწის გარეშე, როდესაც ფერმერი, რომელსაც განზრახული აქვს ორგანული ცხოველების წარმოება, არ იყენებს სასოფლო-სამეურნეო მიწას და არა აქვს თანამშრომლობის წერილობითი ხელშეკრულება სხვა ფერმერთან თავისი ცხოველებისათვის მისი ორგანული ან კონვერსიული საწარმოო ერთეულების გამოყენებაზე.

ოპერატორებმა ხელმისაწვდომად უნდა შეინახონ მეცხოველეობის წარმოების წესებიდან 1.3.4.3, 1.3.4.4, 1.7.5, 1.7.8, 1.9.3.1(გ) და 1.9.4.2(გ) პუნქტების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი გამონაკლისის შესახებ დოკუმენტური მტკიცებულება.

1.2. კონვერსია

1.2.1. თუ საწარმოო ერთეულის კონვერსიის პერიოდი დაიწყება ერთდროულად მასში შემავალი საძოვრისა ან ცხოველის საკვებისთვის გამოყენებელი სხვა მიწის ჩათვლით და ცხოველებისთვის, რომლებიც I ნაწილის 1.7.1 და 1.7.5 (ბ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული კონვერსიის დაწყებისას უკვე იყვნენ წარმოდგენილნი ამ ერთეულში, ცხოველები და ცხოველური პროდუქტები შეძლება ჩაითვალოს ორგანულად საწარმოო ერთეულის კონვერსიის პერიოდის დასრულებისთანავე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ნაწილის 1.2.2 ქვეპუნქტით რომელიმე ტიპის ცხოველისთვის განსაზღვრული კონვერსიის პერიოდი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ეს საწარმოო ერთეულისთვისაა დადგენილი.

როგორც 1.4.3.1 ქვეპუნქტის გამონაკლისი, ასეთი ერთდროული კონვერსიის შემთხვევაში საწარმოო ერთეულის კონვერსიის განმავლობაში კონვერსიის პერიოდის დაწყებიდან წარმოების ერთეულ ცხოველთა გამოკვება შესაძლებელია კონვერსიულ საწარმოო ერთეულში კონვერსიის პირველი წლის განმავლობაში მიღებული კონვერსიული საკვებით ან/და 1.4.3.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული საკვებით ან/და ორგანული საკვებით.

კონვერსიის პერიოდის დაწყების შემდეგ კონვერსიულ საწარმოო ერთეულში არაორგანული ცხოველების შეყვანა შესაძლებელია 1.3.4 ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2.2. ცხოველების სახეობების მიხედვით კონვერსიის პერიოდები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- (ა) 12 თვე მეხორცული მსხილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენისებრთათვის და ნებისმიერ შემთხვევაში მათი საციცოცხლო ციკლის, არანაკლებ სამი მესამედისა;
- (ბ) 6 თვე ცხვრისთვის, თხისებრთათვის შინაური ღორისა და მერძეული ცხოველებისათვის;
- (გ) 10 კვირა მეხორცული ქათმების წარმოებისთვის, გარდა პეკინური იხვებისა, რომლებიც მეურნეობაში მიიღეს 3 დღის ასაკამდე;
- (დ) 7 კვირა პეკინური იხვებისთვის, რომლებიც მეურნეობაში მიიღეს 3 დღის ასაკამდე;
- (ე) 6 კვირა კვერცხისმდებელი ქათმებისათვის, რომლებიც მეურნეობაში მიიღეს 3 დღის ასაკამდე;
- (ვ) 12 თვე ფუტკრისთვის.

კონვერსიის პერიოდში ცვილი უნდა ჩანაცვლდეს ორგანული საფუტკრისგან მიღებული ცვილით. თუმცა არაორგანული ცვილის გამოყენება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- (i) თუ ორგანული საფუტკრის ცვილი ბაზარზე არ არის ხელმისაწვდომი;
- (ii) თუ დადასტურებულია, რომ ცვილი არ არის დაბინძურებული ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტებით ან ნივთიერებებით; და
- (ii) თუ დადასტურებულია, რომ ცვილი არ არის დაბინძურებული ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტებით ან ნივთიერებებით; და
- (ზ) 3 თვე ბოცვრებისთვის;
- (თ) 12 თვე ირმისებრთათვის.

1.3. ცხოველთა წარმომავლობა

1.3.1. ორგანული ცხოველი უნდა დაიბადოს ან გამოიჩეკოს და გაიზარდოს ორგანულ საწარმოო ერთეულებში კონვერსიის წესების დარღვევის გარეშე.

1.3.2. ორგანული ცხოველების მოშენებასისას:

- (ა) რეპროდუქციისთვის უნდა გამოიყენებოდეს ბუნებრივი მეთოდები; თუმცა, ხელოვნური განაყოფიერება ნებადართული უნდა იყოს;
- (ბ) რეპროდუქციის სტიმულირება ან შეფერხება არ უნდა მოხდეს ჰორმონებით ან მსგავსი ეფექტის მქონე სხვა ნივთიერებებით, გარდა ინდივიდუალური ცხოველისთვის ჩატარებული ვეტერინარული თერაპიული მკურნალობისა;
- (გ) ხელოვნური რეპროდუქციის სხვა ფორმები, როგორებიცაა: კლონირება და ემბრიონის ტრანსპლანტაცია, არ უნდა გამოიყენებოდეს;
- (დ) ჯიშების არჩევანი უნდა შეესაბამებოდეს ორგანული წარმოების პრინციპებს, უზრუნველყოფდეს ცხოველთა კეთილდღეობის მაღალ სტანდარტს და ხელს

უწყობდეს ცხოველის ნებისმიერი ტანჯვისა და დასახიჩრების საჭიროების თავიდან აცილებას.

1.3.3. ჯიშების ან მათი ფორმების არჩევისას ოპერატორებმა უნდა გაითვალისწინონ და უპირატესობა მიანიჭონ ისეთ ჯიშებს ან მათ ფორმებს, რომლებიც კეთილდღეობის დაქვეითების გარეშე ავლენენ გენეტიკური მრავალფეროვნების მაღალ ხარისხს, ადგილობრივ პირობებთან ცხოველის ადაპტაციის უნარს, ჯიშის გენეტიკურ პოტენციალს, ხანგამძლეობას, სიცოცხლისუნარიანობას, დაავადებებისა და ჯანმრთელობის პრობლემების მიმართ გამძლეობას. გარდა ამისა, ცხოველთა ჯიშები ან მათი ფორმები უნდა შეირჩეს ისე, რომ თავიდან აიცილონ ინტენსიურ წარმოებაში გამოყენებულ ზოგიერთ ჯიშებთან ან მათ ფორმებთან დაკავშირებული სპეციფიკური დაავადებები ან ჯანმრთელობის პრობლემები, როგორებიცაა: ღორის სტრესის სინდრომი (რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ფერმკრთალი რბილი ექსუდაციური (PSE) ხორცი), მოულოდნელი სიკვდილი, სპონტანური აბორტი და გართულებული მშობიარობა, რომელიც საჭიროებს საკეისრო კვეთას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივ ჯიშებსა და მათ ფორმებს.

წინა აბზაცის მიხედვით ჯიშებისა და მათი ფორმების შერჩევისას ოპერატორებმა უნდა გამოიყენონ 26-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულ სისტემებში ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

1.3.4. არაორგანული ცხოველების გამოყენება

1.3.4.1. როგორც 1.3.1 ქვეპუნქტის გამონაკლისი ცხოველის საჯიშედ გამოყენების მიზნით შესაძლებელია არაორგანული წესით გაზრდილი ცხოველების მიღება ორგანულ საწარმოო ერთეულში იმ შემთხვევაში, თუ ჯიშები გადაშენების საფრთხის წინაშეა. ამ შემთხვევაში, ამ ჯიშის ცხოველები არ არის აუცილებელი, რომ იყოს უშობელი მდედრი ცხოველები.

1.3.4.2. როგორც 1.3.1. ქვეპუნქტის გამონაკლისი, ორგანულ საფუტკრეში წელიწადში შესაძლებელია დედა ფუტკრებისა და ნაყარის 20%-ის განახლება არაორგანული დედა ფუტკრებით და ნაყარით იმ პირობით, რომ დედა ფუტკრებსა და ნაყარს მოათავსებენ ორგანული საწარმოო ერთეულებისგან მიღებულ ფიჭიან ან ხელოვნურ ფიჭიან სკებში. ნებისმიერ შემთხვევაში, წელიწადში შესაძლებელია ერთი ნაყარის ან დედა ფუტკარის ჩანაცვლება არაორგანული ნაყარით ან დედა ფუტკრით.

1.3.4.3. როგორც 1.3.1 ქვეპუნქტი გამონაკლისი, გუნდის პირველად ჩამოყალიბების, განახლების ან აღდგენისას იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ფერმერების ხარისხობრივი და რაოდენობრივი საჭიროებების დაკმაყოფილება, უფლებამოსილ კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მიიღოს ორგანული მეფრინველეობის საწარმოო ერთეულში არაორგანული წესით გამოზრდილი ფრინველის მიღების გადაწყვეტილება იმ პირობით, თუ მეკვერცხული და მეხორცული წარმოებისთვის განკუთვნილი ვარიები 3 დღემდე ასაკისაა. მათგან მიღებული პროდუქტი შეიძლება

ჩაითვალოს ორგანულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონვერსიის პერიოდი დაცულია.

1.3.4.4. როგორც 1.3.1 ქვეპუნქტის გამონაკლისი, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაკმაყოფილდეს ფერმერის ორგანულ ცხოველებთან დაკავშირებული ხარისხობრივი და რაოდენობრივი საჭიროებები, უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება დაუშვას ორგანულ საწარმოო ერთეულში არაორგანული ცხოველების მიღება იმ პირობით, თუ სრულდება 1.3.4.4.1-1.3.4.4.4 ქვეპუნქტების მოთხოვნები.

1.3.4.4.1. ცხოველის საჯიშედ გამოყენების მიზნით არაორგანული ახალგაზრდა ცხოველების მიღება შესაძლებელია ჯოგის ან გუნდის პირველად ჩამოყალიბებისას. ძუძუს მოშორებისთანავე ისინი უნდა გამოზარდონ ორგანული წარმოების წესების შესაბამისად. გარდა ამისა, ჯოგში ან გუნდში ამ ცხოველების მიღების თარიღთან დაკავშირებით უნდა გავრცელდეს შემდეგი შეზღუდვები:

- (ა) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენისებრი და ირმისებრი ცხოველები, უნდა იყვნენ 6 თვემდე ასაკისა;
- (ბ) ცხვარი და თხისებრი ცხოველები უნდა იყვნენ 60 დღემდე ასაკისა;
- (გ) შინაური ღორი უნდა იწონიდეს 35 კგ-მდე;
- (დ) ბოცვრები უნდა იყვნენ 3 თვემდე ასაკისა.

1.3.4.4.2. საჯიშედ გამოყენების მიზნით შესაძლებელია არაორგანული ზრდასრული მამრი და უშობელი მდედრი ცხოველების მიღება ჯოგის ან გუნდის განახლებისთვის. მიღების შემდეგ ისინი უნდა გამოზარდონ ორგანული წარმოების წესების შესაბამისად. გარდა ამისა, მდედრი ცხოველების რაოდენობა უნდა ექვემდებარებოდეს შემდეგ შეზღუდვებს ყოველწლიურად:

- (ა) შესაძლებელია, მაქსიმუმ, 10%-მდე ზრდასრული ცხენისებრი და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ასევე 20%-მდე ზრდასრული ღორის, ცხვრის, თხისებრი, ბოცვრების ან ირმისებრი ცხოველების მიღება;
- (ბ) ისეთი ერთეულებისთვის, რომლებშიც 10- ზე ნაკლები ცხენისებრნი, ირმისებრნი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ან ბოცვერი, 5-ზე ნაკლები ღორი, ცხვარი ან თხისებრი ცხოველია, ამგვარი განახლება შეზღუდული უნდა იყოს, მაქსიმუმ, ერთი ცხოველით წელიწადში.

1.3.4.4.3. 1.3.4.4.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცენტული ზღვარი შეიძლება გაიზარდოს 40%-მდე იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანო ადასტურებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმეს შესრულებას:

- (ა) მნიშვნელოვნად გაფართოვდა მეურნეობა;
- (ბ) ერთი ჯიში მეორე ჯიშით ჩანაცვლდა;
- (გ) მეურნეობამ წამოიწყო მეცხოველეობის ახალი მიმართულება;

1.3.4.4.4. 1.3.4.4.1, 1.3.4.4.2 და 1.3.4.4.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში არაორგანული ცხოველები შეიძლება ჩაითვალოს ორგანულად მხოლოდ მაშინ, თუ 1.2 პუნქტით განსაზღვრული კონვერსიის პერიოდი დაცულია. 1.2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონვერსიის პერიოდი უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრე, კონვერსიულ საწარმოო ერთეულში ცხოველების მიღებისთანავე.

1.3.4.4.5. 1.3.4.4.1-1.3.4.4.4 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში 1.3.4.4.4 ქვეპუნქტში მოხსენიებული კონვერსიის პერიოდის დასრულებამდე არაორგანული ცხოველები უნდა განთავსდნენ სხვა ცხოველებისგან განცალკევებულად ან უნდა იყვნენ იდენტიფიცირებადი.

1.3.4.5. ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ცხოველების წარმოშობის შესახებ ჩანაწერები ან დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებშიც, შესაბამისი სისტემით (ინდივიდუალური ცხოველის ან ჯგუფის/ფარას/სკის მიხედვით) შესაძლებელია ცხოველების იდენტიფიცირება, აგრეთვე მეურნეობაში შემოყვანილ ცხოველთა ვეტერინარული ჩანაწერები, მათი შემოყვანის თარიღი და გარდამავალი პერიოდი.

1.4. კვება

1.4.1. კვებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები

კვებასთან დაკავშირებით უნდა შესრულდეს შემდეგი წესები:

(ა) მეცხოველეობისთვის საკვები უნდა მიიღონ, პირველ რიგში, იმავე სასოფლო-სამეურნეო მეურნეობიდან, რომელშიც იმყოფებიან ცხოველები, ან იმავე რეგიონში მდებარე მეურნეობების ორგანულ ან კონვერსიულ საწარმოო ერთეულებიდან;

(ბ) ცხოველები უნდა გამოკვებონ იმ ორგანული ან კონვერსიული საკვებით, რომელთა პარამეტრები აკმაყოფილებს ცხოველთა საკვებ მოთხოვნებს მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; შეზღუდული კვება მეცხოველეობაში არ უნდა იყოს ნებადართული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ვეტერინარული მიზეზებით არის განპირობებული;

(გ) დაუშვებელია ცხოველთა ისეთ პირობებში და დიეტაზე ყოლა, რომელმაც შეიძლება ანემია გამოიწვიოს;

(დ) სუქების პრაქტიკა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს თითოეული სახეობისთვის დამახასიათებელ კვების ჩვეულ სქემასა და გაზრდის თითოეულ ეტაპზე ცხოველთა კეთილდღეობას. იძულებითი კვება დაუშვებელია;

(ე) ღორების, ფრინველებისა და ფუტკრების გარდა, ცხოველებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ საძოვრებზე გასვლის შესაძლებლობა, როდესაც პირობები ამის საშუალებას იძლევა, ან მუდმივად უნდა ჰქონდეთ უხეში საკვები;

(ვ) ზრდის სტიმულატორები და სინთეზური ამინომჟავები არ უნდა გამოიყენებოდეს;

(ზ) ახალშობილი ძუძუმწოვრები უმჯობესია იკვებებოდნენ დედის რძით, სულ მცირე, იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრულია კომისიის მიერ მე-14

მუხლის მე-3 (ა) პუნქტის შესაბამისად; ქიმიურად სინთეზირებული ან მცენარეული წარმოშობის კომპონენტების შემცველი რძის შემცველები არ უნდა გამოიყენებოდეს ამ პერიოდში;

(თ) მცენარეული, წყალმცენარეული, ცხოველური წარმოშობის ან საფუფრიანი საკვები მასალა ორგანული უნდა იყოს;

(ი) არაორგანული მცენარეული, წყალმცენარეული, ცხოველური წარმოშობის ან საფუფრიანი საკვები მასალის, მიკრობული ან მინერალური წარმოშობის საკვები მასალის, საკვებდანამატებისა და დამხმარე საშუალებების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენება ორგანულ წარმოებაში დაშვებულია 24-ე მუხლის შესაბამისად.

1.4.2. ძოვება

1.4.2.1. ძოვება ორგანულ მიწაზე

ქვეპუნქტ 1.4.2.2-ის დაცვით ორგანული ცხოველები უნდა ძოვდნენ ორგანულ მიწაზე. თუმცა წლის განმავლობაში შეზღუდული პერიოდით შესაძლებელია არაორგანული ცხოველებისათვის ორგანული საძოვრების გამოყენება იმ პირობით, თუ ისინი გამოზრდილი არიან გარემოსათვის უვნებელი მეთოდებით და ორგანულ საძოვარზე არ იმყოფებიან ორგანულ ცხოველებთან ერთდროულად.

1.4.2.2.ძოვება საერთო მიწაზე და მომთაბარეობა

1.4.2.2.1. ორგანულ ცხოველებს შეუძლიათ ძოვება საერთო მიწაზე იმ პირობით, თუ:

(ა) საერთო საძოვარი არ დაუმუშავებიათ ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად აკრძალული პროდუქტებით ან ნივთიერებებით სულ მცირე ბოლო სამი წლის განმავლობაში;

(ბ) ყველა ის არაორგანული ცხოველი, რომლებიც საერთო საძოვარზე ძოვს, გამოზრდილი არიან გარემოსათვის უვნებელი მეთოდებით;

(გ) ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც მიღებულია ორგანული ცხოველების საერთო საძოვარზე ძოვებისას, არ ჩაითვლება ორგანულ პროდუქტად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია დადასტურდეს არაორგანული ცხოველებისგან მათი ადეკვატური განცალკევება.

1.4.2.2.2. მომთაბარეობის პერიოდში ორგანულმა ცხოველებმა შეიძლება მოძოვონ არაორგანულ მიწაზე, როდესაც მათ გადარეკავენ ერთი საძოვრიდან მეორეზე. ამ პერიოდის განმავლობაში ორგანული ცხოველები სხვა ცხოველებისგან განცალკევებულად უნდა იყვნენ. ძოვებისას არაორგანული საკვების მიღება, ბალახისა და სხვა მცენარეების სახით, ნებადართული უნდა იყოს:

(ა) მაქსიმუმ 35 დღის განმავლობაში საძოვრებამდე და უკან დასაბრუნებელი გადარეკვის ჩათვლით; ან

(ბ) მთელი წლის საკვები რაციონის არა უმეტეს 10%-სთვის, რომელიც გამოითვლება სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის საკვების მშრალი ნივთიერების პროცენტით.

1.4.3. კონფერსიული საკვები

Created: ND Date: 01.01.22	Revised: EP, ZN, Date: 07.04.24	Authorised: QM Date: 07.04.24	Version # 2	Nonconfidential	pages: 16- of 61
-------------------------------	------------------------------------	----------------------------------	-------------	-----------------	---------------------

1.4.3.1. ორგანული მეცხოველეობის მეურნეობებისთვის:
(ა) საკვები ფორმულის რაციონის საშუალოდ 25%- მდე შეიძლება შედგებოდეს კონვერსიის მეორე წელს მიღებული კონვერსიული საკვებისგან. ეს პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს 100%-მდე, თუ კონვერსიული საკვები მიღებულია იმ მეურნეობაში, რომელშიც ცხოველი გამოზარდეს; და
(ბ) ცხოველთა საკვებად გამოყენებული საკვების საერთო საშუალო რაოდენობის, მაქსიმუმ, 20% შეიძლება მიღებული იყოს სამოვრებზე ძოვებით ან მუდმივი სამოვრებიდან აღებული მოსავლით, კონვერსიის პირველი წლის ეტაპზე მყოფ ნაკვეთებზე ორგანული მართვის წესით დათესილი მრავალწლიანი საფურაჟე ან ცილოვანი კულტურებით იმ პირობით, თუ ყველა ჩამოთვლილი მიწის ნაკვეთი მეურნეობის შემადგენლობაში შედის.
იმ შემთხვევაში, თუ საკვებად გამოიყენება (ა) და (ბ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ორივე ტიპის კონვერსიული საკვები, მათი საერთო რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს (ა) ქვეპუნქტში მითითებულ პროცენტულ მაჩვენებელს.
1.4.3.2. 1.4.3.1 ქვეპუნქტში მითითებული მაჩვენებლები უნდა გამოითვალონ ყოველწლიურად პროცენტულად მცენარეული წარმოშობის საკვების მშრალი ნივთიერებიდან.

1.4.4. კვების რეჟიმის ჩანაწერები: ოპერატორებმა უნდა აწარმოონ კვების რეჟიმის და, სადაც მიზანშეწონილია, ძოვების პერიოდის შესახებ ჩანაწერები. კერძოდ, მათთან უნდა ინახებოდეს ჩანაწერები, სადაც მითითებულია საკვების დასახელები, მათ შორის, გამოყენებული საკვების ნებისმიერი ფორმის, მაგ. კომბინირებული საკვების, რაციონში შემავალი სხვადასხვა საკვები მასალის პროპორციები, საკუთარი მეურნეობიდან ან იმავე რეგიონიდან მიღებული საკვების პროპორციები და, სადაც მიზანშეწონილია, სამოვრებზე წვდომის პერიოდები, მთა-ბარობის პერიოდები, სადაც მოქმედებს შეზღუდვები და აგრეთვე 1.4.2 და 1.4.3 პუნქტების გამოყენების დოკუმენტური მტკიცებულები.

1.5. ჯანმრთელობის დაცვა

1.5.1. დაავადებების პრევენცია

1.5.1.1. დაავადებების პრევენცია უნდა ეფუძნებოდეს ჯიშებისა და მათი ფორმების შერჩევას, მეცხოველეობის მართვის პრაქტიკას, მაღალი ხარისხის საკვებს, ფიზიკურ აქტივობას, ცხოველების სათანადო სიმჭიდროვესა და ადეკვატურ სადგომში ჰიგიენური პირობების შენარჩუნებას.
1.5.1.2. შესაძლებელია იმუნოლოგიური ვეტერინარული საშუალებების გამოყენება.
1.5.1.3. სინთეზური ალოპათიური ვეტერინარული პრეპარატები, ანტიბიოტიკებისა და სინთეზური ალოპათიური ქიმიური მოლეკულების აბების ჩათვლით პრევენციული მკურნალობისთვის არ უნდა გამოიყენონ.

1.5.1.4. ზრდის ან წარმოების მასტიმულირებელი ნივთიერებები (ანტიბიოტიკების, კოკციდიოსტატებისა და ზრდის სტუმულაციის მიზნით გამოსაყენებელი სხვა ხელოვნური საშუალებების ჩათვლით), აგრეთვე ჰორმონები და რეპროდუქციის კონტროლის ან სხვა დანიშნულების (მაგ., ესტრუსის გამოწვევის ან სინქრონიზაციისა) მსგავსი ნივთიერებები არ უნდა გამოიყენონ.

1.5.1.5. არაორგანული საწარმოო ერთეულებისგან ცხოველების მიღებისას უნდა მიიღონ სპეციალური ზომები, როგორებიცაა: სკრინინგის ტესტები ან კარანტინში მოთავსება, რაც ადგილობრივ გარემოებებზეა დამოკიდებული.

1.5.1.6. მეცხოველეობის მეურნეობის შენობებისა და აღჭურვილობის დასუფთავებისა და დეზინფიცირებისთვის უნდა გამოიყენონ მხოლოდ ის პროდუქტები, რომლებიც 24-ე მუხლის შესაბამისად დაშვებულია ორგანულ წარმოებაში ამ მიზნით გამოყენებისთვის. ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ამ პროდუქტების გამოყენების შესახებ ჩანაწერები, პროდუქტის გამოყენების თარიღის ან თარიღების, პროდუქტის დასახელების, მისი აქტიური ნივთიერებების და გამოყენების ადგილის მითითებით.

1.5.1.7. ცხოველების დასაბინავებელი შენობების, ბაკების, სადგომების, საფრინველეების, დანადგარებისა და ინვენტარის რეცხვა-დეზინფიცირება სწორად უნდა ჩატარდეს ჯვარედინი დაბინძურებისა და დაავადებების გადამტანი ორგანიზმების დაგროვების პრევენციის მიზნით. ფეკალური მასების, შარდისა და შეუჭმელი ან ძირს დაღვრილი/დაყრილი საკვები უნდა გაიტანონ საკმარისად ხშირად, საჭიროებიდან გამომდინარე, სუნის შემცირებისა და მწერების ან მღრღნელების მოზიდვის თავიდან აცილების მიზნით. მხოლოდ ხაფანგებში ჩასადებად დაშვებული როდენტიციდები და მე-9 და 24-ე მუხლების შესაბამისად ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართული პროდუქტები და ნივთიერებები შეიძლება გამოიყენონ მწერებისა და სხვა მავნებლების აღმოფხვრისათვის ცხოველების დასაბინავებელ შენობებსა და სხვა კონსტრუქციებში.

1.5.2. ვეტერინარული მკურნალობა

1.5.2.1. ცხოველების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად გატარებული პრევენციული ზომების მიუხედავად, ცხოველის დაავადების ან დაზავებისას მათ დაუყოვნებლივ უნდა უმკურნალონ.

1.5.2.2. ცხოველის ტანჯვის თავიდან აცილების მიზნით დაავადების მკურნალობა დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ფიტოთერაპიული, ჰომეოპათიური და სხვა პროდუქტების გამოყენება უშედეგოა, მკაცრი კონტროლისა და ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ შესაძლებელია ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებაც, ანტიბიოტიკების ჩათვლით. კონკრეტულად უნდა განისაზღვროს მკურნალობის კურსთან და ლოდინის პერიოდთან დაკავშირებული შეზღუდვები.

1.5.2.3. ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური ვეტერინარული პრეპარატებით, მათ შორის, ანტიბიოტიკებით მკურნალობაზე მეტად უპირატესობა უნდა მიენიჭოს 24-ე მუხლის შესაბამისად ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად დაშვებული მინერალური წარმოშობის საკვები მასალისა და საკვებდანამატების, აგრეთვე ფიტოთერაპიული და ჰომეოპათიური პროდუქტების გამოყენებას იმ პირობით, თუ მათი თერაპიული მოქმედება შედეგიანი კონკრეტული სახეობის ცხოველისა და პირობისთვის, რომლისთვისაც მკურნალობა გამიზნულია.

1.5.2.4. ვაქცინაციის, პარაზიტებზე დამუშავებისა და ცხოველთა სავალდებულო განადგურების სქემების გარდა, თუ ცხოველს ან ცხოველთა ჯგუფს 12 თვის განმავლობაში უტარდება მკურნალობის სამი კურსი ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური საშუალებებით, მათ შორის, ანტიბიოტიკებით ან, თუ მას უტარდება მკურნალობის ერთზე მეტი კურსი, მაგრამ მისი პროდუქტიული სიცოცხლის ციკლი 12 თვეზე ნაკლებია, არც შესაბამისი ცხოველი და არც ამ ცხოველისგან მიღებული პროდუქტები არ უნდა გაიყიდოს ორგანული სტატუსით და ცხოველი უნდა დაექვემდებაროს 1.2 პუნქტით განსაზღვრული კონვერსიის პერიოდის პირობას.

1.5.2.5. ცხოველზე ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური საშუალებების, მათ შორის, ანტიბიოტიკების ბოლო გამოყენებიდან ლოდინის პერიოდი ჩვეული გამოყენების პირობებში და ორგანული წარმოების მიზნებისთვის უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 48 საათს და ამავდროულად უნდა იყოს 2-ჯერ მეტი, ვიდრე ეს ვეტერინარულ პრეპარატზეა მითითებული ან დადგენილად 14 დღე კვერცხისა და რძისთვის, 56 დღე ფრინველისა და ძუძუმწოვრების ხორცისთვის, ცხიმისა და სუბპროდუქტების ჩათვლით.

1.5.2.6. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობის დასაცავად სავალდებულოდ გათვალისწინებული მკურნალობა ნებადართული უნდა იყოს.

1.5.2.7. ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები ან იქონიონ სხვა სახის დოკუმენტური დასტური ნებისმიერი ჩატარებული მკურნალობის შესახებ, სადაც ასახული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: ნამკურნალები ცხოველების იდენტიფიკაცია, მკურნალობის თარიღი, დიაგნოზი, დოზირება, სამკურნალო პროდუქტის დასახელება და საჭიროების შემთხვევაში, ვეტერინარული დანიშნულების რეცეპტურა და მკურნალობის შემდეგ ლოდინის პერიოდს, რომელიც უნდა გაიარონ ცხოველებმა, სანამ დასაშვები იქნება მათი მეცხოველეობის პროდუქტების ბაზარზე გატანა და ეტიკეტირება „ორგანულის“ ნიშნით.

1.6. დაბინავება და მოვლა-პატრონობა

1.6.1. შენობის სათანადო თბოიზოლაციამ, გათბობამ და ვენტილაციამ უნდა უზრუნველყოს ჰაერის ცირკულაციის, მტვრის დონის, ტემპერატურის, ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და გაზის კონცენტრაციის შენარჩუნება დადგენილ

ზღვრებში ცხოველის კეთილდღეობის დაცვის მიზნით. შენობის კონსტრუქცია საკმარისი ბუნებრივი ვენტილაციისა და განათების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

1.6.2. ცხოველების დაბინავება შენობა-ნაგებობებში არ უნდა იყოს სავალდებულო იმ ადგილებში, სადაც სათანადო კლიმატური პირობების გათვალისწინებით ცხოველებს შეუძლიათ გარე სივრცეებში ცხოვრება. ასეთ შემთხვევებში ცხოველებისთვის უნდა მოაწიონ ფარდულები ან საჩრდილობლები არასათანადო ამინდის პირობებში თავის დასაცავად.

1.6.3. შენობებში არსებულმა ცხოველთა სიმჭიდროვემ უნდა უზრუნველყოს ცხოველთა კომფორტი, კეთილდღეობა, სახეობისთვის დამახასიათებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებელი პირობები და დამოკიდებული უნდა იყოს ცხოველის სახეობაზე, ჯიშსა და ასაკზე. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ცხოველთა ქცევითი საჭიროებები, რომლებიც კონკრეტულად დამოკიდებულია ცხოველთა ჯგუფის სიდიდესა და სქესზე. სიმჭიდროვის დონემ უნდა უზრუნველყოს ცხოველთა კეთილდღეობა მათთვის საკმარისი სივრცის შექმნით, რომელიც საჭიროა ბუნებრივი დეგომისთვის, მოძრაობისთვის, მარტივად დაწოლისთვის, მოტრიალებისთვის, დასუფთავებისათვის, ყველა ბუნებრივი პოზის მიღებისა და ბუნებრივი მოძრაობებისთვის, მაგ., გაზმორვისა და ფრთების გაშლისთვის.

1.6.4. მე-14 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულ შესრულების აქტებში განსაზღვრული შიდა და გარე სივრცეების მინიმალური ფართობები, აგრეთვე დაბინავებასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალები დაცული უნდა იყოს.

1.6.5. ღია სივრცეები შეიძლება იყოს ნაწილობრივ გადახურული. ვერანდა არ უნდა განიხილებოდეს ღია სივრცედ.

1.6.6. ცხოველთა სიმჭიდროვის საერთო მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 170 კგ ორგანულ აზოტს სასოფლო-სამეურნეო ფართობის 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით.

1.6.7. 1.6.6 ქვეპუნქტის შესაბამისად ცხოველთა სიმჭიდროვის სათანადო მაჩვენებლის დასადგენად უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განსაზღვროს 1.6.6 ქვეპუნქტში მითითებული ზღვრის ეკვივალენტური ცხოველთა რაოდენობები ცხოველის წარმოების კონკრეტული ტიპისთვის, დადგენილ სპეციფიკურ მოთხოვნებში მითითებული მაჩვენებლების შესაბამისად.

1.6.8. ცხოველების გამოზრდისას გალიები, იდივიდუალური ბოქსები და გალიებისგან აწყობილი ბლოკები არ უნდა გამოიყენონ ცხოველის არც ერთი სახეობისთვის.

1.6.9. ვეტერინარული მიზეზების გამო ცხოველის ინდივიდუალურად მკურნალობის შემთხვევაში ის უნდა მოთავსდეს ისეთ სივრცეში, სადაც არის მყარი მთლიანი იატაკი და მოწყობილია დასაწოლი ადგილი ნამჯის ან სხვა შესაბამისი ქვეშაფენით.

ცხოველს უნდა ჰქონდეს მარტივად მოტრიალების და მთელ სიგრძეზე კომფორტულად წოლის შესაძლებლობა.

1.6.10. ორგანული ცხოველის გამოზრდა არ შეიძლება ძალიან სველ ან ჭაობიან ნიადაგზე მოწყობილ ბაკში.

1.7. ცხოველთა კეთილდღეობა

1.7.1. ტრანსპორტირების და დაკვლისას ცხოველების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ ყველა პირს უნდა ჰქონდეს ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საჭიროებებთან დაკავშირებული აუცილებელი საბაზისო ცოდნა და უნარები და წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული წესების სწორად განხორციელების უზრუნველსაყოფად გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგი.

1.7.2. ცხოველთა მოვლა-პატრონობის პრაქტიკამ, მათ შორის, დაბინავებისა და სიმჭიდროვის პირობებით უზრუნველყოფამ უნდა დააკმაყოფილოს ცხოველთა ზრდა-განვითარების, ფიზიოლოგიური და ეთოლოგიური საჭიროებები.

1.7.3. ყოველთვის, როდესაც ამინდი, სეზონური პირობები და ნიადაგის მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა, ცხოველებს უნდა ჰქონდეთ მუდმივი წვდომა ღია ცის ქვეშ სასეირნო სივრცეებთან ფიზიკური აქტივობისთვის, უპირატესად საძოვრებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, შეზღუდვები და მოვალეობებია დაწესებული ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობის დასაცავად.

1.7.4. ცხოველთა სულადობა უნდა შეიზღუდოს ცხოველებით ან ნაკელის მიმოფანტვით გამოწვეული გადამოვების, ნიადაგის გამოფიტვის, ეროზიისა და გარემოს დაბინძურების მინიმუმამდე შემცირების გათვალისწინებით.

1.7.5. ცხოველის დაბმა ან იზოლირება უნდა აიკრძალოს გარდა იმ შემთხვევებისა, თუ შეზღუდული პერიოდით კონკრეტული ცხოველისათვის ეს აუცილებელია და დასაბუთებულია ვეტერინარული მიზეზებით. ცხოველის იზოლირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დაშვებული და ისიც შეზღუდული პერიოდით, თუ საფრთხე ემუქრება პერსონალის უსაფრთხოებას ან მიზეზი ცხოველის კეთილდღეობას უკავშირდება. უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება დაუშვას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ახალგაზრდა ცხოველების გარდა) დაბმა, მაქსიმუმ, 50 - სულიან მეურნეობაში იმ შემთხვევაში, თუ ამის გარეშე შეუძლებელია პირუტყვის დაჯგუფება მათი ქცევითი მოთხოვნების შესაბამისად იმ პირობით, თუ მათ ექნებათ ძოვის შესაძლებლობა საძოვრებზე გასვლის პერიოდში და, სულ მცირე, კვირაში ორჯერ ღია სივრცეებში გასვლის შესაძლებლობა იმ პერიოდში, როდესაც ძოვება შეუძლებელია.

1.7.6. ცხოველების ტრანსპორტირების ხანგრძლივობა მინიმუმამდე უნდა შემცირდეს.

1.7.7. ნებისმიერი ტანჯვა, ტკივილი ან სტრესი თავიდან უნდა იქნეს აცილებული და მინიმუმამდე შემცირდეს ცხოველის სიცოცხლის განმავლობაში, მათ შორის, დაკვლისას.

1.7.8. ევროკავშირის კანონმდებლობაში ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული ცვლილებების დაცვით ცხვრისთვის კუდის მოკვეთა, ქათმისთვის ნისკარტის მოჭრა გამოჩევიდან პირველი სამი დღის განმავლობაში რქების მოხერხვა შეიძლება ნებადართული იყოს, როგორც გამონაკლისი, მაგრამ მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ქმედებები ემსახურება ცხოველის ჯანმრთელობის, კეთილდღეობის ან ჰიგიენის გაუმჯობესებას ან, თუ ამის გარეშე საფრთხე ექმნება პერსონალის უსაფრთხოებას. რქების ამოშანთვა შეიძლება იყოს ნებადართული მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედება ემსახურება ცხოველის ჯანმრთელობის, კეთილდღეობის ან ჰიგიენის გაუმჯობესებას ან თუ მის გარეშე საფრთხე ექმნება პერსონალის უსაფრთხოებას. უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გასცეს ამ ოპერაციების ჩატარების ნებართვა, თუ ოპერატორმა უფლებამოსილ კომპეტენტურ ორგანოს დროულად მიაწოდა დასაბუთებული ინფორმაცია ამ ქმედებებთან დაკავშირებით და თუ ოპერაციას კვალიფიციური პერსონალი ატარებს.

1.7.9. ცხოველის ნებისმიერი ტანჯვა მაქსიმალურად უნდა შემცირდეს სათანადო ანესთეზიის ან / და ანალგეზიური საშუალებების გამოყენებით, ასევე კვალიფიციური პერსონალის მიერ თითოეული ოპერაციის ჩატარებით მაშინ, როდესაც ამისათვის ცხოველი ყველაზე შესაფერის ასაკშია.

1.7.10. ფიზიკური კასტრაცია ნებადართული უნდა იყოს პროდუქტების ხარისხისა და ტრადიციული წარმოების პრაქტიკის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ მხოლოდ 1.7.9 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების დაცვით.

1.7.11. სატრანსპორტო საშუალებაში ცხოველები უნდა აიყვანონ და ჩამოიყვანონ ცხოველის იძულებისთვის განკუთვნილი ნებისმიერი სახის ელექტრონული ან სხვა მტკივნეული გამაღიზიანებლების გამოყენების გარეშე. ტრანსპორტირებამდე ან ტრანსპორტირების პროცესისას ალოპათიური ტრანკვილიზატორების გამოყენება უნდა აიკრძალოს.

1.7.12. ოპერატორებმა უნდა აღრიცხონ ნებისმიერი კონკრეტული შესრულებული სამუშაო და აწარმოონ 1.7.5, 1.7.8, 1.7.9 ან 1.7.10 პუნქტების გამოყენების დასაბუთების შესაბამისი ჩანაწერები ან იქონიოს დოკუმენტური მტკიცებულება. რაც შეეხება მეურნეობიდან ცხოველების გასვლას, სადაც მიზანშეწონილია, უნდა დაფიქსირდეს შემდეგი მონაცემები: ასაკი, ცხოველთარაოდენობა, დაკლულ ცხოველთა წონა, შესაბამისი იდენტიფიკაცია (ცალკეული ცხოველისა ან გუნდის/ფარის/სკის მიხედვით), გასვლის თარიღი და დანიშნულება.

1.8. გადაუმუშავებელი პროდუქტების დამზადება-დამუშავებ

გადამუშავების გარდა, მეცხოველეობის მეურნეობაში დამზადება-დამუშავების ოპერაციების განხორციელებისას IV ნაწილის 1.2, 1.3, 1.4, 1.5 და 2.2.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ზოგადი მოთხოვნები უნდა შესრულდეს შესაბამისი საჭირო ცვლილებების გათვალისწინებით.

1.9. ზოგადი დამატებითი წესები

1.9.1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის, ცხვრისთვის, თხისებრთა და ცხენისებრთა ცხოველებისთვის

1.9.1.1. გამოკვება

კვებასთან დაკავშირებით უნდა შესრულდეს შემდეგი წესები:

- (ა) საკვების, სულ მცირე, 60% უნდა იყოს იმავე მეურნეობაში დამზადებული ან, თუ ეს შეუძლებელია, ან ასეთი საკვები არ არის ხელმისაწვდომი, წარმოებული უნდა იყოს სხვა ორგანულ ან კონვერსიულ საწარმოო ერთეულებთან და საკვების ოპერატორებთან თანა- მშრომლობით იმავე რეგიონის საკვებისა და საკვები მასალის გამოყენებით. 2024 წლის 1 იანვრიდან ეს პროცენტული ზღვარი 70%-მდე უნდა აიწიოს;
- (ბ) საძოვრები ცხოველებისათვის ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როდესაც არის ამის პირობები;
- (გ) (ბ) ქვეპუნქტის მიუხედავად, ერთ წელზე უფროსი ასაკის მამრ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს უნდა ჰქონდეს საძოვრებზე ან ღია სივრცეებში გასვლის შესაძლებლობა;
- (დ) იმ შემთხვევაში, თუ ძოვების პერიოდში ცხოველებს აქვთ საძოვრებზე გასვლის შესაძლებლობა და ზამთრის დაბინავების სისტემა ცხოველებს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს, ზამთრის თვეებში სასეირნო ღია სივრცეების უზრუნველყოფის ვალდებულება შეიძლება გაუქმდეს;
- (ე) გამოზრდის სისტემები საძოვრების მაქსიმალურ გამოყენებას უნდა ეფუძნებოდეს წლის სხვადასხვა პერიოდში საძოვრების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;
- (ვ) კვების დღიური რაციონის მშრალი ნივთიერების, სულ მცირე, 60% უნდა შედგებოდეს უხეში საკვებისგან, ნედლი ან გამომშრალი ფურაჟის ან სილოსისგან. ეს პროცენტული ზღვარი შეიძლება შემცირდეს 50%-მდე რძის მწარმოებელი ცხოველებისთვის, მაქსიმუმ, სამი თვის განმავლობაში, ადრეული ლაქტაციის პერიოდში.

1.9.1.2. დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკა

დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკასთან დაკავშირებით შემდეგი წესები უნდა შესრულდეს:

Created: ND Date: 01.01.22	Revised: EP, ZN, Date: 07.04.24	Authorised: QM Date: 07.04.24	Version # 2	Nonconfidential	pages: 23- of 61
-------------------------------	------------------------------------	----------------------------------	-------------	-----------------	---------------------

- (ა) დაბინავების ადგილებში იატაკი უნდა იყოს გლუვი, მაგრამ არა სრიალა;
- (ბ) დაბინავების ადგილებში მყარი, მთლიანი კონსტრუქციით და არა ცხაურებით მოწყობილი უნდა იყოს საკმარისი ზომის კომფორტული, სუფთა და მშრალი დასაწოლი ან დასასვენებელი ადგილი ცხოველებისთვის. დასასვენებელ სივრცეში მოწყობილი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის მშრალი და სათანადო მასალით დაფარული დასაწოლი ადგილები. საფენ მასალად გამოყენებული უნდა იყოს ნამჯა ან სხვა შესაბამისი ბუნებრივი მასალა. დასაფენი მასალა შეიძლება გაუმჯობესდეს ნებისმიერი იმ მინერალური პროდუქტით, რომელიც 24-ე მუხლის შესაბამისად დაშვებულია ორგანულ წარმოებაში სასუქად ან მელიორანტად გამოყენებისთვის;
- (გ) ერთ კვირაზე მეტი ასაკის ხბოების დაბინავება ინდივიდუალურ ბოქსებში აკრძალული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეზღუდული პერიოდით ინდივიდუალური ცხოველისათვის არის აუცილებელი და დასაბუთებულია ვეტერინარული მიზეზებით;
- (დ) ვეტერინარული მიზეზებით ხბოს ინდივიდუალურად მკურნალობისას ის უნდა მოთავსდეს მყარ მთლიან იატაკიან სივრცეში. მისთვის უნდა მოაწყონ ნამჯის ქვეშაფენიანი დასაწოლი ადგილი. ხბოს უნდა შეეძლოს მარტივად შემობრუნება და მთელ სიგრძეზე კომფორტულად დაწოლა.

1.9.2. ირმისებრთა ცხოველებისთვის

1.9.2.1. გამოკვება

- კვებასთან დაკავშირებით უნდა შესრულდეს შემდეგი წესები:
- (ა) საკვების, სულ მცირე, 60% უნდა იყოს იმავე მეურნეობაში დამზადებული, თუ ეს შეუძლებელია ან ასეთი საკვები არ არის ხელმისაწვდომი, წარმოებული უნდა იყოს სხვა ორგანულ ან კონვერსიულ საწარმოო ერთეულებთან და საკვების ოპერატორებთან თანამშრომლობით იმავე რეგიონის საკვებისა და საკვები მასალის გამოყენებით. 2024 წლის 1 იანვრიდან ეს პროცენტული ზღვარი 70%- მდე უნდა აიწიოს;
 - (ბ) ცხოველებს საძოვრებზე ძოვების შესაძლებლობა ყოველთვის უნდა ჰქონდეთ, როდესაც არის ამის პირობები;
 - (გ) იმ შემთხვევაში, თუ ცხოველებს ძოვების პერიოდში საძოვრებზე გასვლის შესაძლებლობა აქვთ და ზამთარში დაბინავების სისტემა ცხოველებს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს, ზამთრის თვეებში ღია სივრცეების სასეირნოდ უზრუნველყოფის ვალდებულება შეიძლება გაუქმდეს;
 - (დ) გამოზრდის სისტემები საძოვრების მაქსიმალურ გამოყენებას უნდა ეფუძნებოდეს, წლის სხვადასხვა პერიოდში საძოვრების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;
 - (ე) კვების დღიური რაციონის მშრალი ნივთიერების, სულ მცირე, 60% უნდა შედგებოდეს უხეში საკვებისგან, ნედლი ან გამომშრალი ფურაჟის ან სილოსისგან. ეს

პროცენტული ზღვარი შეიძლება შემცირდეს 50%-მდე რძის წარმოების ირმისებრთა ცხოველებისთვის ადრეული ლაქტაციის პერიოდში მაქსიმუმ სამი თვით;

(ვ) ბუნებრივი ძოვება უნდა იყოს უზრუნველყოფილი ვეგეტაციის პერიოდში ცხოველების ბაკებში. ისეთი ბაკები, სადაც ვეგეტაციის პერიოდში ძოვება შეუძლებელია, არ უნდა იყოს ნებადართული;

(ზ) საკვების მიცემა ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ცუდი ამინდის გამო შეზღუდულია საძოვარზე გაყვანის შესაძლებლობა;

(თ) ბაკებში ცხოველების გამოზრდისას ისინი უნდა უზრუნველყონ სუფთა და ახალი წყლით. იმ შემთხვევაში, თუ ბუნებრივი წყაროები ცხოველებისათვის ადვილად მისაწვდომი არ არის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სარწყულებლები.

1.9.2.2. დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკა უნდა შესრულდეს დაბინავებისა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული შემდეგი წესები:

(ა) ირმისებრი ცხოველებისთვის მოწყობილი უნდა იყოს დასამალი ადგილები, ფარდულები და მესერი, რომლებიც ცხოველებს არ დააზიანებს;

(ბ) კეთილშობილი ირმისთვის მოწყობილ ბაკში ცხოველებს უნდა ჰქონდეთ ტალახში გორიალის შესაძლებლობა კანის გაჯანსაღებისა და სხეულის ტემპერატურის რეგულირების უზრუნველსაყოფად;

(გ) დაბინავების ადგილებში იატაკი უნდა იყოს გლუვი მაგრამ არა სრიალა;

(დ) დაბინავების ყველა ადგილას მყარი, ერთიანი კონსტრუქციით და არა ცხაურებით მოწყობილი უნდა იყოს საკმარისი ზომის კომფორტული, სუფთა და მშრალი დასაწოლი ან დასასვენებელი ადგილი ცხოველებისთვის. დასასვენებელ სივრცეში უნდა იყოს მოწყობილი საკმარისი რაოდენობის მშრალი და სათანადო მასალით დაფარული დასაწოლი ადგილები. საფენ მასალად უნდა გამოიყენებოდეს ნამჯა ან სხვა შესაბამისი ბუნებრივი მასალა. დასაფენი მასალა შეიძლება გაუმჯობესდეს ნებისმიერი იმ მინერალური პროდუქტით, რომელიც 24-ე მუხლის შესაბამისად დაშვებულია ორგანულ წარმოებაში სასუქად ან მელიორანტად გამოსაყენებლად;

(ე) საკვებურები უნდა იყოს მოწყობილი უამინდობისგან დაცულ სივრცეებში. მათთან მისვლა უნდა შეეძლოს როგორც ცხოველებს, აგრეთვე მათ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ მომსახურე პერსონალს. მიწა, სადაც საკვებურებია განთავსებული, უნდა იყოს დატკეპნილი, ხოლო საკვები აპარატები კი გადახურული;

(ვ) თუ შეუძლებელია საკვებით მუდმივი უზრუნველყოფა, საკვებურები იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ყველა ცხოველს ერთდროულად ჰქონდეს კვების შესაძლებლობა.

1.9.3. ღორისთვის

1.9.3.1. კვება

კვებასთან დაკავშირებით შემდეგი წესები უნდა შესრულდეს:

(ა) საკვების სულ მცირე, 30% უნდა იყოს იმავე მეურნეობაში დამზადებული ან, თუ ეს შეუძლებელია, ან ასეთი საკვები არ არის ხელმისაწვდომი, უნდა იყოს წარმოებული სხვა ორგანული ან კონვერსიული წარმოების ერთეულებთან და საკვების ოპერატორებთან თანამშრომლობით, იმავე რეგიონის საკვებით და საკვები მასალით;

(ბ) უხეში საკვები, ნედლი ან გამომშრალი ფურაჟი, ან სილოსი უნდა დაემატოს კვების დღიურ რაციონს;

(გ) იმ შემთხვევაში, თუ ფერმერებს არ შეუძლიათ მთლიანად ორგანული წესებით წარმოებული ცილოვანი საკვებით უზრუნველყოფა და უფლებამოსილმა კომპეტეტურმა ორგანომ დაადასტურა, რომ ორგანული ცილოვანი საკვები საკმარისი რაოდენობით არ არის ხელმისაწვდომი, 2026 წლის 31 დეკემბრამდე შესაძლებელია არაორგანული ცილოვანი საკვების გამოყენება შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში:

- (i) ის არ არის ხელმისაწვდომი ორგანული ფორმით;
- (ii) ის წარმოებულია ან დამზადებულია ქიმიური გამხსნელების გარეშე;
- (iii) ის გამოიყენება მხოლოდ სპეციალური ცილოვანი ნაერთებით 35 კილოგრამამდე წონის გოჭების საკვებად; და
- (iv) ამ ცხოველებისთვის 12 თვის განმავლობაში ასეთი საკვების დასაშვები მაქსიმალური პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს. სასოფლო/სამეურნეო წარმოების საკვების მშრალი ნივთიერების პროცენტი უნდა გამოითვალონ.

1.9.3.2. დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკა

დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკასთან დაკავშირებით შემდეგი წესები უნდა შესრულდეს:

- (ა) დაბინავების ადგილებში იატაკი უნდა იყოს გლუვი, მაგრამ არა სრიალა;
- (ბ) დაბინავების ადგილებში მყარი, მთლიანი კონსტრუქციით და არა ცხაურებით მოწყობილი უნდა იყოს საკმარისი ზომის კომფორტული, სუფთა და მშრალი დასაწოლი ან დასასვენებელი ადგილი ცხოველებისთვის. დასასვენებელ სივრცეში უნდა იყოს მოწყობილი საკმარისი რაოდენობის მშრალი და სათანადო მასალით დაფარული დასაწოლი ადგილები. საფენის მასალად გამოყენებული უნდა იყოს ნამჯა ან სხვა შესაბამისი ბუნებრივი მასალა. დასაფენი მასალა შეიძლება გაუმჯობესდეს ნებისმიერი იმ მინერალური პროდუქტით, რომელიც 24-ე მუხლის შესაბამისად დაშვებულია ორგანულ წარმოებაში სასუქად ან მელიორანტებად;
- (გ) ცხოველისთვის ყოველთვის უნდა იყოს მოწყობილი ნამჯით დაფარული დასაწოლი ადგილი, რომლის ზომა საკმარისი სიდიდისა უნდა იყოს, რათა

შესაძლებელი გახდეს დოლფარაში ყველა გოჭის ერთდროულად დაწოლა მაქსიმალურად გაშლილი სქემით;

(დ) ნეზვები უნდა გაერთიანდნენ ჯგუფებში, გარდა მაკეობის ბოლო ეტაპისა და ბუძუს წოვების პერიოდში, როდესაც ნეზვს უნდა შეეძლოს თავისუფლად მოძრაობა სადგომში, მისი გადაადგილება მხოლოდ მოკლე პერიოდებით უნდა იყოს შეზღუდული;

(ე) ნამჯის მიმართ ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნების დარღვევის გარეშე გოჭების მოგებამდე რამდენიმე დღით ადრე მაკე ნეზვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ რაოდენობის ნამჯით ან სხვა შესაბამისი მასალით, რომელიც საკმარისია საბუდრის მოსაწყობად;

(ვ) სასეირნო მოედანზე ღორებს უნდა ჰქონდეთ დეფეკაციისა და ნიადაგის დინგით ჩიჩქნის საშუალება. დინგით ჩიჩქნისათვის შესაძლებელია სხვადასხვა სუბსტრატების გამოყენება.

1.9.4. ფრინველისთვის

1.9.4.1. ცხოველთა წარმომავლობა

ინტენსიური გამრავლების მეთოდების გამოყენების თავიდან ასაცილებლად ფრინველი უნდა გამოზარდონ ან მინიმალურ ასაკამდე, ან უნდა გამოიყენონ ღია სივრცეში გაზრდას შეგუებული ნელა მზარდი ფრინველთა ჯიშები.

უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განსაზღვროს ნელა მზარდი ფრინველის ჯიშების კრიტერიუმები ან უნდა შეადგინოს ასეთი ჯიშების ნუსხა და მიაწოდოს ინფორმაცია ოპერატორებს.

იმ შემთხვევაში, თუ ფერმერი არ იყენებს ნელა მზარდი ფრინველის ჯიშებს, მისი დაკვლის მინიმალური ასაკი შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს:

- (ა) 81 დღე ვარიასთვის;
- (ბ) 150 დღე დაკოდლილი მამლისთვის;
- (გ) 49 დღე პეკინური იხვისთვის;
- (დ) 70 დღე დედალი მოსკოვური იხვისთვის;
- (ე) 84 დღე მამალი მოსკოვური იხვისთვის;
- (ვ) 92 დღე გარეული იხვისთვის;
- (ზ) 94 დღე ციცრისთვის;
- (თ) 140 დღე მამალი ინდაურისა და შესაწველი ბატისთვის;
- (ი) 100 დღე დედალი ინდაურისთვის.

1.9.4.2. კვება

კვებისათვის უნდა შესრულდეს შემდეგი წესები:

- (ა) საკვების, სულ მცირე, 30% უნდა იყოს იმავე მეურნეობაში დამზადებული ან, თუ ეს შეუძლებელია, ან ასეთი საკვები არ არის ხელმისაწვდომი, უნდა იყოს წარმოებული სხვა ორგანულ ან კონვერსიულ საწარმოო ერთეულებთან და საკვების ოპერატორებთან თანამშრომლობით იმავე რეგიონის საკვებისა და საკვები მასალის გამოყენებით;
- (ბ) უხეში საკვები, ნედლი, გამომშრალი ფურაჟი ან სილოსი უნდა დაემატოს კვების დღიურ რაციონს;
- (გ) იმ შემთხვევაში, თუ ფერმერებს არ შეუძლიათ მთლიანად ორგანული წესებით წარმოებული ფრინველისთვის განკუთვნილი ცილოვანი საკვების მიღება და უფლებამოსილმა კომპეტეტურმა ორგანომ დაადასტურა, რომ ორგანული ცილოვანი საკვები საკმარისი რაოდენობით არ არის ხელმისაწვდომი, 2026 წლის 31 დეკემბრამდე შესაძლებელია არაორგანული ცილოვანი საკვების გამოყენება შემდეგი პირობების შესრულებისას:
 - (i) ის არ არის ხელმისაწვდომი ორგანული ფორმით;
 - (ii) ის წარმოებულია ან დამზადებულია ქიმიური გამხსნელების გარეშე;
 - (iii) ის გამოიყენება მხოლოდ სპეციალური ცილოვანი ნაერთებით ახალგაზრდა ფრინველის კვებისთვის; და
 - (iv) 12 თვის განმავლობაში ამ ცხოველებისთვის დასაშვები მაქსიმალური პროცენტი არ აღემატება 5%-ს. სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის საკვების მშრალი ნივთიერების პროცენტი უნდა გამოითვალოს.

1.9.4.3. ცხოველთა კეთილდღეობა

ცოცხალი ფრინველისგან ბუმბულის მოცილება უნდა აიკრძალოს.

1.9.4.4. დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკა

დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკასთან დაკავშირებით შემდეგი წესები უნდა შესრულდეს:

- (ა) იატაკის საფარის, სულ მცირე, ერთი მესამედი უნდა იყოს მთლიანი, არ უნდა იყოს ცხაურიანი ან ბადიანი და უნდა იყოს დაფარული ისეთი მასალით, როგორებიცაა: ნამჯა, ხის ნახერხი ან ბურბუმელა, ქვიშა ან კორდი;
 - (ბ) კვერცხისმდებელი ქათმების საფრინველეში ქათმებისთვის ხელმისაწვდომი სივრცის საკმარისად დიდი ნაწილი (გ) უნდა იყოს განკუთვნილი ფეკალიების შესაგროვებლად;
- ფრინველის ყოველი პარტიის გამოზრდის შემდეგ საფრინველე უნდა დაიცალოს. ამ პერიოდში უნდა ჩატარდეს საფრინველისა და აღჭურვილობის რეცხვა-

დეზინფიცირება. გარდა ამისა, ფრინველის თითოეული პარტიის გამოზრდის შემდეგ საფრინველე უნდა დარჩეს ცარიელი, წვერი ქვეყნის მიერ განსაზღვრული პერიოდით, რათა მცენარეული საფარი კვლავ გაიზარდოს. ოპერატორმა უნდა აწარმოოს დაწესებული პერიოდის დაცვის დამადასტურებელი ჩანაწერები ან იქონიოს სხვა სახის დოკუმენტური მტკიცებულებები. ეს მოთხოვნები არ ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ფრინველის გამოზრდა არ ხდება პარტიებად, მათ არ ამწყვდევენ საფრინველეებში, და ისინი თავისუფლად მოძრაობენ მთელი დღის განმავლობაში;

(დ) ფრინველებს, სულ მცირე, მათი სიცოცხლის ერთი მესამედის მანძილზე, უნდა ჰქონდეთ ღია სივრცეებში გასვლის შესაძლებლობა. თუმცა კვერცხისმდებელ ქათმებსა და სუქების ბოლო ეტაპზე მყოფ ფრინველს, სულ მცირე, მათი სიცოცხლის ერთი მესამედის მანძილზე, უნდა შეეძლოთ ღია სივრცეში გასვლა, თუ დროებითი შეზღუდვები არ არის დაწესებული ევროკავშირის კანონმდებლობით;

ე) დღის განმავლობაში ღია სივრცეში გასვლის მუდმივი შესაძლებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრაქტიკულად რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან და ყოველთვის, როდესაც ამის საშუალებას იძლევა ფიზიოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა;

(ვ) როგორც 1.6.5 ქვეპუნქტის გამონაკლისი, 18 კვირამდე ასაკის სანაშენე ფრინველისა და ვარიებისათვის, თუ ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობის დასაცავად მიღებული აკრძალვებისა და ვალდებულებების თანახმად, 18 კვირამდე ასაკის სანაშენე ფრინველისა და ვარიების ღია სივრცეებში გასვლა დაუშვებელია, ვერანდები ღია სივრცედ უნდა ჩაითვალოს., ამ შემთხვევაში ისინი ბადით შემოსაზღვრული უნდა იყოს სხვა ფრინველების შემოღწევისგან დასაცავად;

(ზ) ფრინველებისთვის განკუთვნილ ღია სივრცეებში ფრინველებს უნდა შეეძლოთ მარტივი წვდომა ადეკვატური რაოდენობის სარწყულელებთან;

(თ) ფრინველებისთვის განკუთვნილი ღია სივრცეები უნდა იყოს უმთავრესად მცენარეებით დაფარული;

(ი) იმ პირობებში, როდესაც ადგილობრივად საკვების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, მაგალითად, გრძელვადიანი თოვლის ან გვალვის გამო, ფრინველის რაციონს უნდა დაემატოს უხეში საკვები;

(კ) იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად არსებული შეზღუდვების ან ვალდებულებების გათვალისწინებით ფრინველი დახურულ სივრცეში იმყოფება, მას უნდა ჰქონდეს წვდომა სათანადო რაოდენობის უხეშ საკვებსა და შესაბამის მასალებზე საკუთარი ეთოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;

(ლ) წყლის ფრინველებს უნდა ჰქონდეთ ნაკადულებზე, გუბურებზე, ტბებსა ან აუზებზე წვდომის შესაძლებლობა ყოველთვის, როდესაც ამის საშუალებას კლიმატური და ჰიგიენური პირობები იძლევა მათი სახეობისაჭიროებებისა და

ცხოველთა კეთილდღეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. უამინდობის პირობებში, როდესაც ეს შეუძლებელია, მათ უნდა ჰქონდეთ წყლამდე მისვლის შესაძლებლობა იმისათვის, რომ შეძლონ წყალში თავის ჩაყოფა და ბუმბულის გასუფთავება;

(მ) ბუნებრივ განათებას შეიძლება დაემატოს ხელოვნური განათება, რათა უზრუნველყოფილი იყოს დღის განმავლობაში, მაქსიმუმ, 16 - საათიანი განათება და ღამის უწყვეტი დასვენების პერიოდი ხელოვნური განათების გარეშე, სულ მცირე, რვა საათის განმავლობაში;

(ნ) ნებისმიერი საწარმოო ერთეულის საფრინველში ფრინველის გასუქებისათვის განკუთვნილი გამოსაყენებლად ვარგისი მთლიანი ფართობი არ უნდა აჭარბებდეს 1600 მ²-ს.

(ო) საფრინველის თითოეულ განაყოფში ნებადართული უნდა იყოს, არაუმეტეს 3000 კვერცხისმდებელი ქათმისა.

1.9.5. ბოცვრებისთვის

1.9.5.1. კვება

კვებასთან დაკავშირებით უნდა შესრულდეს შემდეგი წესები:

(ა) საკვების, სულ მცირე, 70% უნდა იყოს იმავე მეურნეობაში დამზადებული ან, თუ ეს შეუძლებელია, ან ასეთი საკვები არ არის ხელმისაწვდომი, ის წარმოებული უნდა იყოს სხვა ორგანულ ან კონვერსიულ საწარმოო ერთეულებთან და საკვების ოპერატორებთან თანამშრომლობით იმავე რეგიონის საკვებისა და საკვები მასალის გამოყენებით.

(ბ) ბოცვრებისათვის საძოვრები ძოვებისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როდესაც არის ამის პირობები;

(გ) გამოზრდის სისტემები საძოვრების მაქსიმალურ გამოყენებას უნდა ეფუძნებოდეს, წლის სხვადასხვა პერიოდში საძოვრების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;

(დ) ბალახის ნაკლებობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბოჭკოვანი საკვები, როგორებიცაა, ნამჯა ან თივა. რაციონის 60% ფურაჟი უნდა იყოს.

1.9.5.2. დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკა

დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკასთან დაკავშირებით უნდა შესრულდეს შემდეგი წესები:

(ა) დაბინავების ადგილებში მყარი, მთლიანი კონსტრუქციით და არა ცხაურებით მოწყობილი უნდა იყოს საკმარისი ზომის კომფორტული, სუფთა და მშრალი დასაწოლი ან დასასვენებელი ადგილი ცხოველებისთვის. დასასვენებელ სივრცეში უნდა იყოს მოწყობილი საკმარისი რაოდენობის მშრალი და სათანადო მასალით დაფარული დასაწოლი ადგილები. საფენის მასალად გამოყენებული უნდა იყოს ნამჯა ან სხვა შესაბამისი ბუნებრივი მასალა. დასაფენი მასალა შეიძლება

გაუმჯობესდეს ნებისმიერი იმ მინერალური პროდუქტით, რომელიც 24-ე მუხლის შესაბამისად დაშვებულია ორგანულ წარმოებაში სასუქად ან მელიორანტებად;

- (ბ) ბოცვრები უნდა გაერთიანდნენ ჯგუფებში;
- (გ) ბოცვრების მოშენებით დაკავებულმა მეურნეობებმა უნდა გამოიყენონ გარე პირობებთან ადაპტირებული ძლიერი ჯიშები;
- (დ) ბოცვრებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ:
 - (i) მივიდნენ გადახურულ ფარდულეებამდე, ბნელი დასამალი ადგილების ჩათვლით;
 - (ii) მივიდნენ მცენარეებით დაფარულ ღია სარბენ სივრცეებამდე, სასურველია სამოვრამდე;
 - (iii) მივიდნენ დახურულ ან გარე სივრცეებში განთავსებულ ამაღლებულ ბაქნებამდე, სადაც მათ შეეძლება დასხდომა, შიგნით ან გარეთ;
 - (iv) მიიღონ მასალა ყველა ბაჭისთვის საკმარისი ბუდის მოსაწყობად.

1.9.6. ფუტკრისთვის

1.9.6.1. ცხოველთა წარმომავლობა
 მეფუტკრეობისთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს *Apis mellifera*-სა და მის ადგილობრივ ქვესახეობებს

1.9.6.2. კვება
 კვებასთან დაკავშირებით უნდა შესრულდეს შემდეგი წესები:

- (ა) სეზონის დასასრულს პროდუქტის ამოღების შემდეგ სკაში უნდა დარჩეს საკმარისი რაოდენობით თაფლი და მტვერი ფუტკრის გამოზამთრებისათვის;
- (ბ) ფუტკრის ოჯახის კვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი გადარჩენა რისკის ქვეშაა არასათანადო კლიმატური პირობების გამო. ამ შემთხვევაში ფუტკრის ოჯახის კვება ნებადართულია ორგანული თაფლით, ორგანული ყვავილის მტვერით, ორგანული შაქრის სიროფით ან ორგანული შაქრით

1.9.6.3. ჯანმრთელობის დაცვა
 ჯანმრთელობის დასაცავად უნდა შესრულდეს შემდეგი წესები:

- (ა) ჩარჩოების, სკებისა და ფიჭის დაცვის მიზნით, განსაკუთრებით მავნებლებისგან, ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ როდენტიციდებიანი ხაფანგებისა და მე-9 და 24-ე მუხლების შესაბამისად ორგანული წარმოებისთვის დაშვებული პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება;
- (ბ) საფუტკრეების დეზინფექცია ნებადართული უნდა იყოს ფიზიკური დამუშავებით, მაგალითად, ორთქლით ან ცეცხლის პირდაპირი ალით;
- (გ) სამამლე ბარტყის განადგურება ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ ვაროა დესტრუქტორის ტკიპით ინვაზირებული ფუტკრის იზოლაციის მიზნით;

(დ) ყველა პრევენციული ზომის მიუხედავად, ფუტკრის ოჯახების დასუსტების ან პარაზიტით ინვაზიისას მათი მკურნალობა დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს და თუ ამის საჭიროებაა, ისინი უნდა მოთავსდნენ იზოლირებულ საფუტკრეში;

(ე) ვაროა დესტრუქტორის ტკიპით ინვაზიისას შესაძლებელია ჭიანჭველმჭავას, რძემჭავას, ძმარმჭავას, მჟაუნმჭავას, აგრეთვე მენტოლის, თიმოლის, ცინეოლის (ეგვალიპტოლის) ან ქაფურის გამოყენება;

(ვ) მე-9 და 24-ე მუხლებით ორგანული წარმოებისთვის დაშვებული პროდუქტებისა და ნივთიერებებისგან განსხვავებული ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური საშუალებებით, მათ შორის, ანტიბიოტიკებით მკურნალობისას. ამ მკურნალობის განმავლობაში ოჯახები უნდა განთავსდეს იზოლირებულ საფუტკრეში. ცვილი მთლიანად უნდა ჩანაცვლდეს ორგანული საფუტკრიდან მიღებული ცვილით. ამის შემდეგ ამ ოჯახებზე უნდა გავრცელდეს 1.2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული 12-თვიანი კონვერსიის პერიოდი.

1.9.6.4. ცხოველთა კეთილდღეობა

მეფუტკრეობასთან დაკავშირებით შემდეგი დამატებითი წესები უნდა შესრულდეს:

- (ა) ფუტკრების განადგურება ფიჭაში, როგორც მეფუტკრეობის პროდუქტების მოსავლის აღებასთან დაკავშირებული მეთოდი, უნდა აიკრძალოს;
- (ბ) დასახიჩრება, როგორცაა დედა ფუტკრისათვის ფრთების მოჭრა, უნდა აიკრძალოს;

1.9.6.5. დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკა

დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკასთან დაკავშირებით შემდეგი წესები უნდა შესრულდეს:

- (ა) საფუტკრეები უნდა იყოს განთავსებული ისეთ ადგილებში, სადაც უხვად არის ხელმისაწვდომი ყვავილის ნექტარი და მტვერი, რომლის წყაროც ძირითადად ორგანული მეთოდით წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები ან საჭიროების შემთხვევაში ველურად მზარდი მცენარეები, არაოგრანული ტყეები ან ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია, რომლებიც გარემოზე მხოლოდ მცირე ზეგავლენის მქონე მეთოდებით მუშავდება;
- (ბ) საფუტკრეები უნდა განთავსდეს საკმარის მანძილზე იმ წყაროებიდან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მეფუტკრეობის პროდუქტების დაბინძურება ან ფუტკრების ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენა;
- (გ) საფუტკრეების განთავსება ისე უნდა განხორციელდეს, რომ საფუტკრის ადგილიდან 3 კმ-ის რადიუსში ყვავილის ნექტარისა და მტვრის წყარო ძირითადად უნდა შედგებოდეს ორგანული მეთოდით წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისგან, ველურად მზარდი მცენარეების ან ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისგან, რომლებიც გარემოზე მხოლოდ მცირე ზეგავლენის მქონე

მეთოდებით მუშავდება, რაც მეფუტკრეობის წარმოების ორგანულ სტატუსზე გავლენას ვერ იქონიებს. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, თუ ყვავილობა არ მიმდინარეობს ან ფუტკრის ოჯახები ზამთრობენ (დ) სკები და მეფუტკრეობაში გამოყენებული დამხმარე მასალები ძირითადად ისეთი ბუნებრივი მასალებისგან უნდა იყოს დამზადებული, რომლებიც გარემოს ან მეფუტკრეობის პროდუქტების დაბინძურების თვალსაზრისით საფრთხეს არ წარმოადგენს.

(ე) ხელოვნური ფიჭისათვის ცვილის ფურცელი უნდა მიიღონ ორგანული საწარმოო ერთეულიდან;

(ვ) სკებში შეიძლება მხოლოდ ბუნებრივი პროდუქტების გამოყენება, როგორებიცაა: დინდგელი, ცვილი და მცენარეული ზეთები;

(ზ) ქიმიურად სინთეზირებული რეპელენტები არ უნდა გამოიყენებოდეს თაფლის ამოღებისას;

(თ) თაფლი არ უნდა გამოწურონ ისეთი ფიჭისგან, რომელიც შეიცავს ფუტკრის ბარტყს;

(ი) მეფუტკრეობა არ უნდა ჩაითვალოს ორგანულად, თუ მისი მოშენება მიმდინარეობს იმ რეგიონებში ან ადგილებში, რომლებიც ორგანული მეფუტკრეობისთვის ოფიციალურად შეუფერებლადაა მიჩნეული.

1.9.6.6. ჩანაწერთა წარმოების ვალდებულებები

ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს შესაბამისი მასშტაბის რუკა ან სკების ადგილმდებარეობის გეოგრაფიული კოორდინატები, საიდანაც მტკიცდება, რომ ფუტკრის ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი ტერიტორიები აკმაყოფილებს ამ რეგულაციის მოთხოვნებს. ეს ინფორმაცია უნდა წარედგინოს უფლებამოსილ მაკონტროლებელ ორგანოს ან მაკონტროლებელ ორგანოს.

საფუტკრის რეესტრში კვებასთან დაკავშირებით ასახული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: გამოყენებული პროდუქტის დასახელება, თარიღები, რაოდენობა და სკები, სადაც პროდუქტი გამოიყენება.

ზონა, სადაც მდებარეობს საფუტკრე, უნდა აღირიცხოს სკების იდენტიფიკაციასთან და გადაადგილების პერიოდთან ერთად.

ყველა შესრულებული სამუშაო უნდა იყოს აღწერილი საფუტკრის რეესტრში, მათ შორის ანათალის ათლისა და თაფლის გამოწურვის ოპერაციები. ასევე უნდა აღირიცხოს თაფლის შეგროვების რაოდენობა და ვადები.

ნაწილი III: წყალმცენარეებისა და აკვაკულტურის ცხოველების წარმოების წესები

1. ზოგადი მოთხოვნები

1.1. აკვაკულტურის საწარმო უნდა განლაგდეს ისეთ ადგილებში, სადაც არ ხდება

ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტებით, ნივთიერებებით ან ისეთი მინარევებით დაბინძურება, რაც რისკის ქვეშ აყენებს პროდუქციის ორგანულ წარმომავლობას.

- 1.2. ორგანული და არაორგანული საწარმოო ერთეულები უნდა იყოს სათანადოდ განცალკევებული. განცალკევების ამგვარი ზომები დამოკიდებულია ბუნებრივ ადგილმდებარეობაზე, წყლის განაწილების განცალკევებულ სისტემებზე, მანძილებზე, მოქცევის ტალღაზე, ორგანული საწარმოო ერთეულის დინების ზემო თუ ქვემო ნაწილში განლაგებაზე. წყალმცენარეებისა და აკვაკულტურის წარმოება არ ჩაითვლება ორგანულად, თუ ისინი ხორციელდება ისეთ ადგილებში ან ისეთ მხარეში, რომლებიც ოფიციალურად ამ საქმიანობისთვის შეუფერებელია.
- 1.3. ნებისმიერი ახალი ოპერატორისთვის, რომელიც განცხადებას აკეთებს ორგანულ წარმოებაზე და წელიწადში 20 ტონაზე მეტ აკვაკულტურის პროდუქტს აწარმოებს, უნდა ჩატარდეს გარემოს შეფასება, რომელიც შეესაბამება მისი საწარმოო ერთეულის მარჩხობს, რათა გამოვლინდეს მისი საწარმოო ერთეულის და უშუალო საარსებო გარემოს პირობები და მისი საქმიანობის შესაძლო ზეგავლენა გარემოზე. ოპერატორი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასება მიაწოდოს უფლებამოსილ მაკონტროლებელ ორგანოს ან მაკონტროლებელ ორგანოს. თუ საწარმოო ერთეული უკვე შეფასდა, მაშინ ამ მიზნით შეფასების გამოყენება შესაძლებელია.
- 1.4. მანგრის ხეების განადგურება დაუშვებელია.
- 1.5. ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს მდგრადი მენეჯმენტის გეგმა, რომელიც აკვაკულტურისა და წყალმცენარეების შემგროვებელი საწარმოო ერთეულის თანაზომიერია.
- 1.6. გეგმა ყოველწლიურად უნდა განახლდეს და დეტალურად აღიწეროს საქმიანობის გავლენა გარემოზე, გარემოს მონიტორინგის დაგეგმილი ქმედებები და მოიცავდეს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებიც ჩატარდება მიმდებარე წყლისა და ხმელეთის გარემოზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებდეს საკვები ნივთიერებების გადაღვრას გარემოში წარმოების ციკლის ან წლის განმავლობაში. გეგმა უნდა მოიცავდეს ტექნიკური აღჭურვილობის ზედამხედველობისა და რემონტის ჩანაწერებს.
- 1.7. მტაცებლების წინააღმდეგ მიღებული თავდაცვითი და პრევენციული ზომები უნდა აღირიცხოს მდგრადი მენეჯმენტის გეგმაში.

- 1.8. შეძლებისდაგვარად, მენეჯმენტის გეგმის შედგენისას საქმიანობა უნდა შეუთანხმონ ახლომდებარე ოპერატორებს.
- 1.9. აკვაკულტურისა და წყალმცენარეების მწარმოებელმა ბიზნესოპერატორებმა უნდა შეიმუშავონ ნარჩენების შემცირების განრიგი, რომელიც მდგრადი მენეჯმენტის გეგმის ნაწილია და ოპერაციების დაწყებისთანავე განხორციელდება. თუ ეს შესაძლებელია, გამოყენებული ნარჩენი სითბო უნდა წარმოადგენდეს განახლებული წყაროებიდან მიღებულ ენერჯიას.
- 1.10. გადაუმუშავებელი პროდუქტების დამზადება-დამუშავება
 თუ დამზადება-დამუშავების ოპერაციები, გადამუშავების გარდა, მოიცავს წყალმცენარეებსა და აკვაკულტურის ცხოველებს, IV ნაწილის 1.2, 1.3, 1.4, 1.5 და 2.2.3 პუნქტებში გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნები შესაბამისი ცვლილებებით გამოიყენება ამგვარი ოპერაციებისთვის.
- 1.11. ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს და იყოს ხელმისაწვდომი დოკუმენტური მტკიცებულება აკვაკულტურის ცხოველების წარმოების წესებიდან ნებისმიერი გამონაკლისის ნებართვის შესახებ, რომელიც მიღებულია 3.1.2.1 (დ) და (ე) პუნქტების შესაბამისად.

2. მოთხოვნები წყალმცენარეების მიმართ
 მე-9, მე-10, მე-11 და მე-15 მუხლებში დადგენილი წარმოების ზოგადი წესები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში მოცემული ნაწილის I განყოფილება ჩამოთვლილი წარმოების ზოგად წესები, ვრცელდება წყალმცენარეების ორგანულ შეგროვებასა და წარმოებაზე. ეს წესები აუცილებელი ცვლილებებით ვრცელდება ფიტოპლანქტონის წარმოებაზეც.

- 2.1. კონვერსია
 - 2.1.1. წყალმცენარეების შემგროვებელი საწარმოო ერთეულისთვის კონვერსიის პერიოდი მოიცავს ექვს თვეს.
 - 2.1.2. წყალმცენარეების მწარმოებელი საწარმოო ერთეულის კონვერსიის პერიოდი უნდა იყოს ექვსი თვე ან წარმოების ერთი სრული ციკლი, რომელიც უფრო ხანგრძლივია.
- 2.2. წარმოების წესები წყალმცენარეებისთვის
 - 2.2.1. ველური წყალმცენარეებისა და მათი ნაწილების შეგროვება ორგანულ წარმოებად ითვლება თუ:
 - (ა) ადგილები, სადაც ისინი იზრდება შესაფერისია ჯანმრთელობის თვალსაზრისით და აქვს მაღალი ეკოლოგიური სტატუსი

(ბ) შეგროვება მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ბუნებრივი ეკოსისტემის სტაბილურობაზე ან შეგროვების ზონაში სახეობების შენარჩუნებაზე.

2.2.2. წყალმცენარეების მოყვანა ორგანულად რომ ჩაითვალოს, უნდა განხორციელდეს ისეთ ადგილებში, რომელთა გარემოსა და ჯანდაცვის მახასიათებლები, სულ მცირე, 2.2.1 (ა) პუნქტში განსაზღვრული მახასიათებლების იდენტურია. დამატებით გამოიყენება წარმოების შემდეგი წესები:

(ა) მდგრადი პრაქტიკა უნდა გამოიყენებოდეს წარმოების ყველა ეტაპზე, იუვენილური წყალმცენარეების შეგროვებიდან მოპოვებამდე;

(ბ) ფართო გენეტიკური ფონდის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად იუვენილური წყალმცენარეები ბუნებრივ გარემოში უნდა შეგროვდეს რეგულარულად, რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს შენობაში განთავსებულ დანადგარებში კულტივირებული წყალმცენარეების მრავალფეროვნება;

(გ) სასუქები არ უნდა გამოიყენონ. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ შენობაში განთავსებული ობიექტებისთვის და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასუქები ამ მიზნით ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართულია 24-ე მუხლის შესაბამისად. ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს ამ პროდუქტების გამოყენების ჩანაწერები, გამოყენების თარიღის ან თარიღების, პროდუქტის დასახელების, გამოყენებული რაოდენობის, შესაბამისი პარტიების/ავზების/კონტეინერების მიხედვით მითითებით.

2.3. წყალმცენარეების მოყვანა

2.3.1. ზღვის წყალმცენარეების კულტურისათვის უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ გარემოში ბუნებრივად არსებული ან ორგანული აკვაკულტურის ცხოველის წარმოებიდან მიღებული საკვები ნივთიერებები, უმჯობესია ახლომდებარე პოლიკულტურის სისტემის ნაწილი.

2.3.2. ხმელეთზე არსებულ ობიექტებში, რომლებშიც გარე საკვები წყაროები გამოიყენება, გამდინარე წყლების საკვები ნივთიერებების დონე უნდა იყოს იგივე, ან უფრო დაბალი, ვიდრე შემომავალ წყალში და უნდა გადამოწმდეს. დასაშვებია მხოლოდ იმ მცენარეული ან მინერალური წარმოშობის საკვები ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად, 24-ე მუხლის შესაბამისად. ოპერატორებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები ამ პროდუქტების გამოყენების შესახებ, თითოეული პროდუქტის გამოყენების თარიღის ან თარიღების, პროდუქტის დასახელების და გამოყენებული რაოდენობის, შესაბამისი პარტიების/ ავზების/კონტეინერების მიხედვით მითითებით.

2.3.3. კულტურის წარმოების სიმჭიდროვე ან საოპერაციო ინტენსიურობა უნდა აღირიცხოს და შენარჩუნდეს წყლის გარემოს მთლიანობა წყალმცენარეების იმ მაქსიმალური რაოდენობის უზრუნველყოფით, რომელთა წარმოება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების გარეშე შესაძლებელია.

2.3.4. ტროსები და სხვა აღჭურვილობა, რომლებიც გამოიყენება წყალმცენარეების მოშენებისთვის, ხელახლა უნდა გამოიყენონ ან ხელმეორედ გადაამუშავონ, სადაც ეს შესაძლებელია.

2.4. ველური წყალმცენარეების მდგრადი შეგროვება

2.4.1. ბიომასის ერთჯერადი შეფასება უნდა ჩატარდეს წყალმცენარეების შეგროვების დასაწყისშივე.

2.4.2. დოკუმენტური ანგარიშები უნდა ინახებოდეს ერთეულში ან ობიექტზე და უნდა მისცეს ოპერატორს იდენტიფიცირების, ხოლო უფლებამოსილ მაკონტროლებელ ორგანოსა და მაკონტროლებელ ორგანოს კი იმის გადამოწმების შესაძლებლობა, რომ შემგროვებლებმა განახორციელეს მხოლოდ ამ რეგულაციის შესაბამისად წარმოებული ველური წყალმცენარეების მიწოდება.

2.4.3. შეგროვება ისე უნდა მოხდეს, რომ შეგროვებულმა რაოდენობამ არ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გავლენა აკვატორიის მდგომარეობაზე. ღონისძიებები, როგორებიცაა: შეგროვების მეთოდები, მინიმალური ზომები, ასაკი, რეპროდუქციული ციკლები ან დარჩენილი წყალმცენარეების ზომა, გათვალისწინებული უნდა იყოს, რათა უზრუნველყონ წყალმცენარეების რეგენერაცია და თავიდან აიცილონ არასასურველი სახეობების შეგროვება.

2.4.4. თუ წყალმცენარეები შეგროვდა საზიარო ან საერთო შეგროვების ზონაში, წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტური მტკიცებულება, რომ სრული შეგროვება ამ რეგულაციას შეესაბამება.

3. მოთხოვნები აკვაკულტურის ცხოველების მიმართ

მე-9, მე-10, მე-11 და მე-15 მუხლებში და საჭიროების შემთხვევაში ამ ნაწილის პირველ განაყოფში ჩამოყალიბებულ წარმოების ზოგად წესებთან ერთად, თევზის, კიბოსნაირთა, კანეკლიანებისა და მოლუსკების ჯიშების ორგანულ წარმოებაზე ვრცელდება ამ განაყოფში დადგენილი წესებიც. ეს წესები აუცილებელი ცვლილებებით ასევე გამოიყენება ზოოპლანქტონის, მცირე ზომის კიბოსნაირთა, როტიფერების, ჭიებისა და წყლის სხვა საკვები ცხოველების წარმოებისას.

3.1. ზოგადი მოთხოვნები

3.1.1. კონვერსია

აკვაკულტურის საწარმოო ერთეულის კონვერსიის პერიოდები ეხება აკვაკულტურის წარმოების შემდეგი სახის ობიექტებს არსებული ცხოველების ჩათვლით:

- (ა) ობიექტებისთვის, რომელთა წყლისგან დაცლა, გაწმენდა და დეზინფექცია შეუძლებელია, დადგენილია კონვერსიის პერიოდი 24 თვე;
- (ბ) ობიექტებისთვის, რომლებიც დაიცალა ან არ გამოიყენებოდა, დადგენილია კონვერსიის პერიოდი 12 თვე;
- (გ) ობიექტებისთვის, რომლებიც დაიცალა, გაიწმინდა და დეზინფექცია ჩაუტარდა, კონვერსიის პერიოდად დადგენილია ექვსი თვე;
- (დ) წყლის ღია ობიექტებისთვის, მათ შორის, ორსაგდულიანი მოლუსკების წარმოებისთვის, კონვერსიის პერიოდად დადგენილია სამი თვე.

3.1.2. აკვაკულტურის ცხოველების წარმომავლობა

3.1.2.1. აკვაკულტურის ცხოველების წარმოშობასთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი წესები:

- (ა) ორგანული აკვაკულტურა უნდა ეფუძნებოდეს ორგანული საწარმოო ერთეულების ორგანული სადედე ჯოგისგან წარმოქმნილი ახალგაზრდა ცხოველების გუნდის მოშენებას;
- (ბ) ადგილობრივად გამოზრდილი სახეობები უნდა გამოიყენონ და მოშენება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი ჯიშების წარმოებას, რომლებიც უკეთესადაა შეგუებული საწარმოო პირობებს, რაც უზრუნველყოფს ცხოველთა კარგ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ასევე საკვები რესურსების კარგ ათვისებას. მათი წარმოშობისა და მკურნალობის დოკუმენტური მტკიცებულება უნდა მიეწოდოს უფლებამოსილ კომპეტენტურ ორგანოს, ან საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილ მაკონტროლებელ ორგანოს ან მაკონტროლებელ ორგანოს;
- (გ) უნდა შეირჩეს ჯანსაღი სახეობები, რომელთა წარმოება შეიძლება გარეული გუნდისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე;
- (დ) მოშენების მიზნით მეურნეობაში შეიძლება ბუნებრივ გარემოში დაჭერილი ან არაორგანული აკვაკულტურის ცხოველების შემოყვანა მხოლოდ სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში, როდესაც ორგანული წარმოშობის ცხოველები არ არის ხელმისაწვდომი ან როდესაც საწარმოო ერთეულში ახალი სანაშენე ცხოველების შემოყვანა ხდება გუნდის გენეტიკური შესაბამისობის

გასაუმჯობესებლად, მას შემდეგ, რაც ნებართვა მიღებული იქნება უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოდან. ასეთი ცხოველები, სულ მცირე, სამი თვის განმავლობაში ორგანული მენეჯმენტის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს, სანამ დაიწყება მათი გამოყენება მოშენებისათვის. IUCN-ის წითელ ნუსხაში შეტანილ გადაშენების პირას მყოფ დაჭერილ სახეობათა გამოყენების ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ კონსერვაციის პროგრამების მიზნების გათვალისწინებით, რომლებსაც აღიარებს კონსერვაციაზე პასუხისმგებელი შესაბამისი სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანო;

- (ე) გამოზრდის მიზნით ველური აკვაკულტურის იუვენილური ცხოველების შეგროვება განსაკუთრებით უნდა შეიზღუდოს შემდეგი შემთხვევებით:
 - (i) ტბორების, შეკავების სისტემებისა და შემოკავების ადგილების შევსებისას თევზების ან კიბოსნაირთა ლიფსიტებისა და მოზარდების ბუნებრივი შემოდინება;
 - (ii) ჭაობიან ადგილებში, როგორებიცაა მლაშეწყლიანი ტბორები, ზღვის მოქცევის ადგილები და სანაპირო ლაგუნები, გავრცელებული აკვაკულტურის ექსტენსიური მეურნეობების სულადობის შევსებისას ისეთი ველური ლიფსიტების ან კიბოსნაირთა ლარვის სახეობებით, რომლებიც IUCN-ის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელ ნუსხაში არ არის შეტანილი, იმ შემთხვევაში თუ:
 - სულადობის შევსება შეესაბამება სათანადო უფლებამოსილი ორგანოების მიერ დამტკიცებულ მენეჯმენტის ღონისძიებებს, რომლებიც ამ სახეობის მდგრად გამოყენებას უზრუნველყოფს, და
 - ცხოველები იკვებებიან მხოლოდ და მხოლოდ საარსებო გარემოში არსებული ბუნებრივი საკვებით.

როგორც (ა) ქვეპუნქტიდან გამონაკლისი, ორგანულ საწარმოო ერთეულში გამოზრდის მიზნით შესაძლებელია დაიშვას იმ სახეობების არაორგანული იუვენილების, მაქსიმუმ, 50%-ის შემოყვანა, რომელთა წარმოება ვერ განვითარდა, როგორც ორგანული, 2022 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ წარმოების ციკლის ხანგრძლივობის, სულ მცირე, ბოლო ორი მესამედი ორგანული მენეჯმენტის პირობებში ხორციელდებოდა. ამგვარი გამონაკლისი შეიძლება დაიშვას, მაქსიმუმ, ორი წლის განმავლობაში და არ ექვემდებარება განახლებას.

ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებული აკვაკულტურის მეურნეობისთვის ამგვარი გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ 46-ე (1) მუხლის შესაბამისად აღიარებული უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოების ან მაკონტროლებელი ორგანოების მიერ იმ სახეობებისთვის, რომლებიც არ

განვითარდა, როგორც ორგანული, არც იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც მეურნეობა მდებარეობს და არც ევროკავშირში. ეს გამონაკლისი შეიძლება დაიშვას, მაქსიმუმ, ორი წლის განმავლობაში და არ ექვემდებარება განახლებას.

3.1.2.2. მოშენებისათვის გამოიყენება შემდეგი წესები:

- (ა) ჰორმონებისა და მათგან წარმოებული პრეპარატების გამოყენება დაუშვებელია;
- (ბ) ერთსქესიანი შტამების ხელოვნური წარმოება, ხელით გადარჩევის გარდა, პოლიპლოიდიის ინდუქცია, ხელოვნური ჰიბრიდიზაცია და კლონირება დაუშვებელია;
- (გ) შესაბამისი შტამები უნდა შეირჩეს.

3.1.2.3 ახალგაზრდა ცხოველების წარმოება

ზღვის სახეობების ახალგაზრდა ცხოველების გამოზრდაში შეიძლება სპეციალური კონსტრუქციების (სასურველია „მეზოკოსმისა“ ან „მაღალ ტევადიანის“) გამოყენება. ამ კონსტრუქციებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

- (a) პირველადი ჩასმის სიმჭიდროვე არ უნდა იყოს 20 კვერცხსა ან ლარვაზე ნაკლები ერთ ლიტრზე;
- (b) ლარვის გამოსაზრდელი ცისტერნა არ უნდა იყოს 20 მ³-ზე ნაკლები მოცულობის; და
- (c) ლარვამ უნდა იკვებოს პლანქტონზე, რომელიც ბუნებრივად ვითარდება იმავე ცისტერნაში, მაგრამ მას შეიძლება დაემატოს გარეთ წარმოებული ფიტოპლანქტონი და ზოოპლანქტონი.

3.1.2.4. ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს ცხოველების წარმოშობის ჩანაწერები, რომლებშიც ცხოველები იდენტიფიცირებულია ცხოველების ან ცხოველთა ჯგუფების მიხედვით, აღნიშნულია ცხოველთა შემოსვლის თარიღი და სახეობრივი ტიპი, რაოდენობა, ორგანული ან არაორგანული სტატუსი და გარდამავალი პერიოდი.

3.1.2. კვება

3.1.3.1. თევზის, კიბოსნაირებისა და კანეკლიანების საკვებს ეხება შემდეგი წესები:

- (ა) ცხოველები უნდა გამოიკვებოს საკვებით, რომლებიც აკმაყოფილებს ცხოველთა კვების მოთხოვნილებებს მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;

(ბ) კვების რაციონი უნდა შემუშავდეს შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით:

(ii) ცხოველების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;

(iii) პროდუქტის მაღალი ხარისხი, პროდუქტის კვებითი შედგენილობის ჩათვლით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საჭმელად ვარგისი საბოლოო პროდუქტის მაღალი ხარისხი;

(iv) გარემოზე დაბალი ზეგავლენა;

გ) საკვების მცენარეული ფრაქცია უნდა იყოს ორგანული, ხოლო წყლის ცხოველებისგან წარმოებული საკვების ფრაქცია უნდა იყოს წარმოქმნილი ორგანული აკვაკულტურისგან ან თევზსარეწისგან, რომელიც უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოს მიერ აღიარებული სქემით სერტიფიცირებულია, როგორც მდგრადი;

დ) მცენარეული, ცხოველური, წყალმცენარეული ან საფუფრისგან წარმოქმნილი არაორგანული საკვები მასალები, მინერალური ან მიკრობული წარმოშობის საკვები მასალები, საკვებდანამატები და გადამუშავების დამხმარე საშუალებები უნდა გამოიყენონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნებადართულია ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად წინამდებარე რეგულაციით;

(ე) ზრდის სტიმულატორებისა და სინთეზური ამინოჰაქსების გამოყენება დაუშვებელია.

3.1.3.2. ორსაგდულიანი მოლუსკებისა და სხვა სახეობებისათვის, რომლებიც ბუნებრივი პლანქტონით იკვებება და არა ადამიანის მიერ, შემდეგი წესები გამოიყენება:

(ა) ასეთმა ფილტრატორმა ცხოველებმა საკვები მოთხოვნილებები უნდა მიიღონ ბუნებიდან. გამონაკლისია მოზარდები, რომელთა მოშენება ინკუბატორებსა და ტბორებში მიმდინარეობს.

(ბ) გამოსაზრდელი ადგილები ჯანმრთელობის თვალსაზრისით შესაფერისი უნდა იყოს, ჰქონდეს მაღალი ეკოლოგიური ან კარგი გარემოსდაცვითი სტატუსი.

3.1.3.3. სპეციფიკური წესები მტაცებელი აკვაკულტურის ცხოველთა საკვებისთვის მტაცებელი აკვაკულტურის ცხოველთა საკვების მიღება უნდა მოხდეს შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით:

(ა) აკვაკულტურული წარმოშობის ორგანული საკვები;

(ბ) თევზის ფქვილი და თევზის ქონი, რომლებიც წარმოებულია თევზისგან, კიბოსნაირებისგან ან მოლუსკებისგან, ორგანული აკვაკულტურის ანაჰერებისგან;

გ) თევზის ფქვილი, თევზის ქონი და თევზისგან მიღებული საკვები მასალა, რომლებიც წარმოებულია მდგრად თევზსარეწ მეურნეობებში ადამიანის მოხმარებისთვის დაჭერილი თევზის, კიბოსნაირების ან მოლუსკების ანაჰერებისგან;

დ) თევზის ფქვილი, თევზის ქონი და თევზისგან მიღებული საკვები მასალა, რომლებიც წარმოებულია მდგრად თევზსარეწ მეურნეობებში დაჭერილი მთლიანი თევზისგან, კიბოსნაირებისგან ან მოლუსკებისგან და არ მოიხმარება ადამიანის მიერ;

ე) მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ორგანული საკვები მასალები.

3.1.3.4. სპეციფიკური წესები გარკვეული აკვაკულტურის ცხოველთა საკვებისთვის

გამოზრდის ფაზაში შიგა წყლების თევზი, პენეიდის ოჯახის კრევეტები, მტკნარი წყლის კრევეტები და ტროპიკული მტკნარი წყლის თევზი უნდა გამოიკვებოს შემდეგნაირად:

(ა) ისინი უნდა გამოიკვებონ ტბორებსა და ტბებში ბუნებრივად ხელმისაწვდომი საკვებით;

(ბ) იმ შემთხვევაში თუ (ა) ქვეპუნქტში მითითებული ბუნებრივი საკვები არ არის ხელმისაწვდომი საკმარისი რაოდენობით, უნდა გამოიყენონ მცენარეული წარმოშობის ორგანული საკვები, სასურველია უშუალოდ ფერმაში მოყვანილი ან შესაძლებელია წყალმცენარეების გამოყენება. ოპერატორებმა უნდა შეინახონ დოკუმენტური მტკიცებულებები დამატებითი საკვების გამოყენების აუცილებლობის შესახებ;

(გ) თუ ბუნებრივი საკვები შევსებულია (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად:

(i) პენეიდის ოჯახის კრევეტებისა და მტკნარი წყლის კრევეტების (Macrobrachium სახეობა) კვების რაციონი შეიძლება შედგებოდეს, მაქსიმუმ, 25% თევზის ფქვილისა და 10% თევზის ქონისგან, რომლებიც მიიღეს მდგრად თევზსარეწ მეურნეობებში ;

(ii) სიამის ლოქოს (Pangasius სახეობები) კვების რაციონი შეიძლება შედგებოდეს, მაქსიმუმ, 10% თევზის ფქვილისგან ან თევზის ქონისგან, რომელიც იწარმოება მდგრად თევზსარეწ მეურნეობებში.

(iii)გამოზრდის ფაზაში და განვითარების უფრო ადრეულ საფეხურებზე ინკუბატორებსა და ტბორებში, ორგანული ქოლესტეროლის გამოყენება ნებადართულია პენეიდის ოჯახის კრევეტებისა და მტკნარი წყლის კრევეტების (Macrobrachium სახეობა) კვების რაციონის საჭიროების უზრუნველსაყოფად.

3.1.3.5. ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს ჩანაწერები კვების სპეციფიკური რეჟიმების შესახებ, კერძოდ, საკვების დასახელების, რაოდენობის, დამატებითი საკვების გამოყენებისა და შესაბამისი გამოკვებილი ცხოველების/ ცხოველთა გუნდების შესახებ.

3.1.4. ჯანმრთელობის დაცვა

3.1.4.1.დაავადებების პრევენცია

დაავადებების პრევენციასთან დაკავშირებით მოქმედებს შემდეგი წესები:

- (ა) დაავადების პრევენცია უნდა ემყარებოდეს ცხოველების ოპტიმალურ პირობებში განთავსებას სათანადო განლაგებით, მათ შორის, ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორებიცაა: სახეობების მოთხოვნები წყლის ხარისხის, ნაკადისა და მიმოცვლის სიჩქარის მიმართ, მეურნეობების ოპტიმალური დაგეგმარება, მოშენებისა და მენეჯმენტის სანიმუშო პრაქტიკა, რომელიც მოიცავს შენობების რეგულარულ დასუფთავებასა და დეზინფექციას, მაღალი ხარისხის საკვებს, ცხოველების სათანადო სიმჭიდროვეს, ჯიშებისა და შტამების შერჩევას;
- (ბ) შეიძლება იმუნოლოგიური ვეტერინარული მედიკამენტების გამოყენება;
- (გ) ცხოველთა ჯანმრთელობის მენეჯმენტის გეგმაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ბიოუსაფრთხოებისა და დაავადებათა პრევენციის პრაქტიკა და მოიცავდეს წერილობით შეთანხმებას ჯანმრთელობის დაცვის კვალიფიციურ სამსახურთან ჯანმრთელობის შესახებ კონსულტაციების თაობაზე, რომელიც თანაზომიერი იქნება საწარმოო ერთეულის საქმიანობისთვის და ეწვევა მეურნეობას, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ ან ორსაგდულიანი მოლუსკების შემთხვევაში, სულ მცირე, ერთხელ ყოველ ორ წელიწადში;
- (დ)შეკავების სისტემები, აღჭურვილობა და ჭურჭელი შესაბამისად უნდა გაირეცხოს და ჩაუტარდეს დეზინფექცია;
- (ე) გარსშემოზრდილი დამაბინძურებელი ბიოორგანიზმები უნდა მოშორდეს მხოლოდ ფიზიკურად ან ხელით და, საჭიროების შემთხვევაში, ზღვაში ჩაბრუნდეს მეურნეობიდან დაშორებით;

- (ვ) აღჭურვილობისა და ნაგებობების დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის დასაშვებია მხოლოდ 24-ე მუხლის შესაბამისი, ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართული ნივთიერებების გამოყენება;
- (ზ) აკვაკულტურის საწარმო ერთეულის მოცდენისას შემდეგი წესები გამოიყენება:
 - (i) უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ ან, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ ან მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა განსაზღვროს მოცდენის საჭიროება და დაადგინოს ის შესაბამისი ხანგრძლივობა, რომელიც უნდა გამოიყენონ და დოკუმენტურად აღინუსხოს წარმოების თითოეული ციკლის შემდეგ ზღვაზე წყლის ღია შემაკავებელ სისტემებში;
 - (ii) სავალდებულო არ არის ორსაგდულიანი მოლუსკების მოშენებისას;
 - (iii) მოცდენის პერიოდში გალია ან სხვა სტრუქტურა, რომელიც აკვაკულტურის ცხოველის წარმოებისას გამოიყენება, უნდა დაიცალოს, ჩაუტარდეს დეზინფექცია და დარჩეს ცარიელი მის ხელახლა გამოყენებამდე;
- (თ) საჭიროების შემთხვევაში შეუქმელი თევზის საკვები, ფეკალიები და მკვდარი ცხოველები დროულად უნდა მოსცილდეს, რათა თავიდან აიცილონ გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკი, კერძოდ, წყლის ხარისხის, დაავადების რისკების მინიმუმამდე შემცირებისა და მწერების ან მღრღნელების მოზიდვის თავიდან ასაცილებლად;
- (ი) ულტრაიისფერი სინათლე და ოზონი შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ ინკუბატორებსა და ტბორებში;
- (კ) ექტოპარაზიტების ბიოლოგიური კონტროლისთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს გამწმენდი თევზის, მტკნარი წყლის, ზღვის წყლისა და ნატრიუმის ქლორიდის ხსნარების გამოყენებას.

3.1.4.2. ვეტერინარული მკურნალობა

ვეტერინარული მკურნალობისთვის გამოიყენება შემდეგი წესები:

- (ა) დაავადებას დაუყოვნებლივ უნდა ჩაუტარდეს მკურნალობა, რომ ცხოველს ტანჯვა ავაცილოთ. ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური ვეტერინარული სამკურნალო პროდუქტები, მათ შორის, ანტიბიოტიკები, შეიძლება გამოიყენონ საჭიროების შემთხვევაში მკაცრი პირობებით და ვეტერინარის პასუხისმგებლობის ქვეშ, თუ ფიტოთერაპიული,

ჰომეოპათიური და სხვა საშუალებების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. საჭიროების შემთხვევაში უნდა დაწესდეს მკურნალობის კურსთან და ლოდინის პერიოდთან დაკავშირებული შეზღუდვები;

- (ბ) ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მკურნალობა, რომელიც დაწესებულია ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე, უნდა დაიშვას;
- (გ) როდესაც 3.1.4.1 პუნქტში მითითებული ჯანმრთელობის პროფილაქტიკური ზომების მიუხედავად, ჯანმრთელობის პრობლემა წარმოიქმნება, შეიძლება გამოიყენონ ვეტერინარული პრეპარატები შემდეგი პრიორიტეტებით:
 - (i) მცენარეებისგან, ცხოველებისგან ან მინერალებისგან მიღებული ნივთიერებები ჰომეოპათიური განზავებით;
 - (ii) მცენარეები და მათი ექსტრაქტები, რომლებსაც არ აქვთ ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება; და
 - (iii) ნივთიერებები, როგორებიცაა: მიკროელემენტები, მეტალები, ბუნებრივი იმუნოსტიმულატორები ან ნებადართული პრობიოტიკები;
- (დ) ალოპათიური მკურნალობის გამოყენება უნდა შემოიფარგლებოდეს წელიწადში მკურნალობის ორი კურსით, გარდა ვაქცინაციისა და სავალდებულო განადგურების სქემებისა. თუმცა წელიწადზე ნაკლები პერიოდის წარმოების ციკლისას ალოპათიური მკურნალობა მხოლოდ ერთი კურსით უნდა შემოიფარგლოს. იმ შემთხვევაში, თუ ალოპათიური მკურნალობისთვის მითითებული ლიმიტები გადაჭარბებულია, შესაბამისი აკვაკულტურის ცხოველები არ უნდა გაიყიდოს, როგორც ორგანული პროდუქტი;
- (ე) პარაზიტების საწინააღმდეგო მკურნალობა, გარდა წვერი ქვეყნების მიერ მართული სავალდებულო საკონტროლო სქემებით მკურნალობისა, უნდა იყოს შეზღუდული შემდეგნაირად:
 - (i) ორაგულისათვის, მკურნალობა უნდა განხორციელდეს წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ ან წელიწადში ერთხელ, როდესაც წარმოების ციკლი 18 თვეზე ნაკლებია;
 - (ii) ყველა სხვა სახეობისათვის, ორაგულის გარდა, მკურნალობა უნდა განხორციელდეს წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ ან წელიწადში ერთხელ, როდესაც წარმოების ციკლი 12 თვეზე ნაკლებია;
 - (iii) ყველა სხვა სახეობისათვის, ჯამში მკურნალობა უნდა განხორციელდეს მაქსიმუმ ოთხჯერ, მიუხედავად სახეობის საწარმოო პროცესის

ხანგრძლივობისა.

(ვ) ალოპათიური ვეტერინარული მკურნალობისა და პარაზიტების საწინააღმდეგო მკურნალობის საშუალებებისთვის ლოდინის პერიოდი (დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სავალდებულო კონტროლისა და განადგურების სქემით გათვალისწინებული მკურნალობის ჩათვლით, მედიკამენტზე მითითებული ლოდინის პერიოდზე ორჯერ მეტი უნდა იყოს ან იგულისხმება 1000 გრადუსდღე თევზის ხორცისთვის (გამოიანგარიშება შემდეგნაირად: წყლის ტემპერატურა გრადუს ცელსიუსში გამრავლებული მკურნალობის დასრულებიდან გასული დღეების რაოდენობაზე, მაგ., 1000 გრადუსდღისთვის საჭიროა დაყოვნება 100 დღის განმავლობაში 10°C-ზე ან 200 დღის განმავლობაში 5°C ტემპერატურაზე) ან 48 საათი სხვა პროდუქტებისთვის;

(ზ) ვეტერინარული სამკურნალო საშუალებების ნებისმიერი გამოყენება გასაჯაროებული უნდა იყოს უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოსთვის, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოსთვის ან მაკონტროლებელი ორგანოსთვის მანამ, სანამ ცხოველების, როგორც ორგანული პროდუქტების, გაყიდვა დაიწყება. გუნდი, რომელსაც მკურნალობა ჩაუტარდა, ნათლად უნდა იყოს იდენტიფიცირებული.

1.1.4.3. დაავადებების პროფილაქტიკის ჩანაწერები

ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს დაავადების პროფილაქტიკის ზომების ჩანაწერები, სადაც მოცემულია დაცლის, გაწმენდისა და წყლის დამუშავების, გამოყენებული ვეტერინარული და სხვა პარაზიტების საწინააღმდეგო მკურნალობის დეტალები. კერძოდ კი მითითებულია მკურნალობის თარიღი, დიაგნოზი, დოზირება, სამკურნალო პროდუქტის დასახელება და ვეტერინარული დანიშნულება, და სადაც შესაძლებელია, ასევე გამოყენების შემდეგ ლოდინის პერიოდები, სანამ აკვაკულტურის პროდუქტების ორგანული სტატუსით გაყიდვა და ეტიკეტირება გახდება შესაძლებელი.

3.1.5. დაბინავება და მოვლა-პატრონობა

3.1.5.1. დახურული რეცირკულაციული აკვაკულტურის ცხოველის საწარმოო ნაგებობები უნდა აიკრძალოს. ეს არ შეეხება ინკუბატორებს, ტბორებს ან ორგანული საკვები ორგანიზმების სახეობების საწარმოებელ ნაგებობებს.

3.1.5.2. წყლის ხელოვნური გათბობა ან გაციება დაიშვება მხოლოდ ინკუბატორებსა და ტბორებში. ბუნებრივი ჭაბურღილის წყალი შეიძლება გამოიყენებოდეს წყლის გასათბობად ან გასაციებლად, წარმოების ყველა ეტაპზე.

3.1.5.3. აკვაკულტურის ცხოველების მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურა უნდა

ითვალისწინებდეს სახეობების სპეციფიკურ საჭიროებებს და ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ:

- (ა) აკვაკულტურის ცხოველებს ჰქონდეთ საკმარისი ადგილი მათი კეთილდღეობისთვის, დაცული იყოს ცხოველების შესაბამისი სიმჭიდროვე, როგორც ეს მითითებულია მე-15 (3) მუხლში მოხსენიებულ აღმასრულებელ აქტებში;
- (ბ) აკვაკულტურის ცხოველებმა იცხოვრონ კარგი ხარისხის წყალში, მათ შორის, შენარჩუნებული იყოს ნაკადისა და მიმოცვლის შესაბამისი სიჩქარე, ჟანგბადის საკმარისი დონე და მეტაბოლიტების დაბალი დონე;
- (გ) აკვაკულტურის ცხოველებს უნდა ჰქონდეს სახეობებისათვის საჭირო შესაბამისი ტემპერატურისა და სინათლის პირობები, გეოგრაფიული ადგილის გათვალისწინებით.

წარმოებული თევზის კეთილდღეობაზე საწარმოო სიმჭიდროვის გავლენის გათვალისწინებით, თევზის მდგომარეობას (მაგალითად, ფარფლის დაზიანება, სხვა ტრავმები, ზრდის ტემპი, გამოხატული ქცევა და ზოგადი ჯანმრთელობა) და წყლის ხარისხს უნდა ჩაუტარდეს მონიტორინგი და მიექცეს ყურადღება.

მტკნარი წყლის თევზისათვის ფსკერის ტიპი მაქსიმალურად ახლოს უნდა იყოს ბუნებრივ პირობებთან. კობრისა და მსგავსი სახეობებისათვის:

- ფსკერის მიწა ბუნებრივი უნდა იყოს,
- ტბორებისა და ტბების ორგანული და მინერალური განაყოფიერება მხოლოდ იმ სასუქებითა და ნიადაგების მელიორანტებით უნდა მოხდეს, რომელთა გამოყენება ორგანულ წარმოებაში ნებადართულია 24-ე მუხლის შესაბამისად მაქსიმალური ნორმა 20 კგ აზოტი/ჰა-ზე,
- სინთეზური ქიმიკატების გამოყენება ჰიდროფიტებისა და საწარმოო წყლებში არსებული მცენარეული საფარის გასაკონტროლებლად უნდა აიკრძალოს.

ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს ცხოველთა კეთილდღეობის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და ტექნიკური ღონისძიებების ჩანაწერები.

ტბორებისა და ტბების განოყიერების შემთხვევაში, ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს სასუქებისა და ნიადაგის მელიორანტების გამოყენების ჩანაწერები, რაც მოიცავს ინფორმაციას შეტანის თარიღის, პროდუქტის დასახელების, გამოყენებული რაოდენობის და შესაბამისი გამოყენებული ადგილის შესახებ.

3.1.5.4. წყლის შემაკავებელი სისტემების დიზაინმა და კონსტრუქციამ უნდა უზრუნველყოს ნაკადის ის სიჩქარე და ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველების ჯანმრთელობასა და

კეთილდღეობას და აკმაყოფილებენ მათ ქცევით საჭიროებებს.

მე-15 (3) მუხლში მოხსენიებული აღმასრულებელი აქტებით დადგენილი სპეციფიკური მახასიათებლები წარმოებისა და შეკავების სისტემების მიმართ უნდა დაკმაყოფილდეს.

3.1.5.5. ხმელეთზე არსებული გამოსაზრდელი ერთეულები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- (ა) წყლის ნაკადის სისტემებით შესაძლებელი უნდა იყოს ნაკადის სიჩქარისა და შემომავალი და გამავალი წყლის ხარისხის მონიტორინგი და კონტროლი;
- (ბ) პერიმეტრის ("ხმელეთისა და წყლის დამაკავშირებელი ადგილის ირგვლივ") ტერიტორიის სულ მცირე, 10% უნდა შედგებოდეს ბუნებრივი მცენარეული საფარისგან.

3.1.5.6. ზღვაზე არსებული შეკავების სისტემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- (ა) ისინი უნდა განთავსდეს იქ, სადაც წყლის დინება, სიღრმე და წყლის ცვალებადი სიჩქარე ადეკვატურია, რათა შემცირდეს გავლენა ზღვის ფსკერზე და მის მიმდებარე წყალსატევზე;
- (ბ) მათ უნდა ჰქონდეთ გალიის შესაბამისი კონსტრუქცია, სტრუქტურა და მომსახურება საარსებო გარემოს გათვალისწინებით.

3.1.5.7. შეკავების სისტემები უნდა იყოს ისეთი კონსტრუქციის, ისე განლაგებული და გამოყენებული, რომ გაქცევის შემთხვევების რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

3.1.5.8. თუ თევზი ან კიბოსნაირნი გაიქცევიან, შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს ადგილობრივ ეკოსისტემაზე გავლენის შესამცირებლად, მათ შორის, სადაც შესაძლებელია, ისინი ხელახლა უნდა დაიჭირონ. ჩანაწერები კი უნდა შეინახონ.

3.1.5.9. თევზის ტბორებში, ავზებში ან წყალსარინებში აკვაკულტურის ცხოველების წარმოებისთვის ფერმები აღჭურვილი უნდა იყოს ან ბუნებრივი ფილტრის ფსკერით, გამოსალექი ტბორებით, ბიოლოგიური ან მექანიკური ფილტრებით, რომ შეაგროვონ ნარჩენი საკვები ნივთიერებები, ან შეეძლოთ იმ წყალმცენარეების ან ცხოველების (ორსაგდულიანი) გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ ჩამდინარე წყლის ხარისხის გაუმჯობესებას. საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ჩამდინარე წყლების მონიტორინგი რეგულარული ინტერვალებით.

3.1.6. ცხოველთა კეთილდღეობა

3.1.6.1. ყველა პირი, რომელიც მონაწილეობს აკვაკულტურის ცხოველების მოვლაში, უნდა ფლობდეს ძირითად ცოდნასა და უნარებს ამ ცხოველების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საჭიროებების შესახებ.

3.1.6.2. აკვაკულტურის ცხოველების მანიპულირება მინიმუმამდე უნდა შემცირდეს და ჩატარდეს უდიდესი სიფრთხილით. სტრესისა და ფიზიკური დაზიანების თავიდან ასაცილებლად უნდა გამოიყენონ სათანადო აღჭურვილობა და პროტოკოლები. სადედე ჯოგის მანიპულირება ისე უნდა მოხდეს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ფიზიკური დაზიანება და სტრესი; საჭიროებისამებრ შესაძლებელია ანესთეზიის გამოყენება. დახარისხების ოპერაციები მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი და სრულდებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს თევზის კეთილდღეობისათვის არის აუცილებელი.

3.1.6.3. შემდეგი შეზღუდვები ეხება ხელოვნური განათების გამოყენებას:

(ა) ბუნებრივი დღის სინათლის გასახანგრძლივებლად, იგი არ უნდა აღემატებოდეს იმ მაქსიმუმს, რომელსაც ითვალისწინებს ცხოველების ეთოლოგიური საჭიროებები, გეოგრაფიული პირობები და ცხოველების ზოგადი ჯანმრთელობა; ეს მაქსიმუმი არ უნდა აღემატებოდეს 14 საათს დღეში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია რეპროდუქციული მიზნებისათვის;

(ბ) სინათლის გადართვის დროს უნდა მოერიდონ სინათლის ინტენსიურობის მკვეთრ ცვლილებებს, დაბნელებული შუქის ან ფონური განათების გამოყენებით.

3.1.6.4. აერაცია უნდა დაუშვან ცხოველთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. მექანიკური აერატორები სასურველია მუშაობდეს განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებულ ენერჯიაზე.

3.1.6.5. ჟანგბადი შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს აუცილებელია ცხოველების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მოთხოვნებისთვის და წარმოების ან ტრანსპორტის კრიტიკულ პერიოდებში მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

(ა) ტემპერატურის ცვლილების, ატმოსფერული წნევის ვარდნის ან წყლის შემთხვევითი დაბინძურების განსაკუთრებული შემთხვევებისას;

(ბ) გუნდის მართვის პერიოდული პროცედურების ჩატარებისას, როგორებიცაა: ნიმუშების აღება და გადარჩევა;

(გ) ფერმის გუნდის გადარჩენის უზრუნველსაყოფად.

ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს ჩანაწერები, რომლებშიც მითითებულია, მოხდა თუ არა გამოყენება (ა), (ბ) ან (გ) პუნქტის შესაბამისად.

- 3.1.6.6. შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ აკვაკულტურის ცხოველების ტრანსპორტირების ხანგრძლივობის მინიმუმამდე შემცირებისთვის.
- 3.1.6.7. ნებისმიერი ტკივილი უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი ცხოველის მთელი არსებობის განმავლობაში, მათ შორის, დაკვლის დროსაც.
- 3.1.6.8. ღეროვანი თვალის აბლაცია და მსგავსი პრაქტიკა, როგორებიცაა ლიგატურის დადება, გაჭრა და წვალება, აკრძალულია.
- 3.1.6.9. უნდა გამოიყენებოდეს მოკვლის ისეთი ტექნიკა, რომ თევზი დაუყოვნებლივ გაითიშოს და ტკივილი ვერ იგრძნოს. მოკვლამდე მათ მიმართ მოპყრობა ისეთი უნდა იყოს, რომ თევზს აარიდონ ტრავმები. ამავდროულად ტკივილი და სტრესი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. დაჭერილი რაოდენობის ზომებში, სახეობებისა და წარმოების ადგილებში განსხვავებები გათვალისწინებული უნდა იყოს დაკვლის ოპტიმალური მეთოდების შერჩევას.

3.2. დეტალური წესები მოლუსკებისთვის

3.2.1. სპერმის წარმომავლობა

სპერმის წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი წესები:

- (ა) გარედან შემოტანილი ველური სპერმა საწარმოო ერთეულში შეიძლება გამოიყენებოდეს ორსაგდულიანი მოლუსკებისათვის იმ პირობით, თუ გარემოს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი, ნებადართულია ადგილობრივი კანონმდებლობით და თუ ველური სპერმა მიღებულია:
 - (i) ფსკერის პოპულაციისგან, რომლებიც ნაკლებად სავარაუდოა გადარჩნენ ზამთრის პირობებში ან მათი რაოდენობა აჭარბებს მოთხოვნას; ან
 - (ii) კოლექტორებზე მოლუსკების სპერმის ბუნებრივი პოპულაციისგან;
- (ბ) გიგანტური ხამანწკებისათვის (*Crassostrea gigas*), უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გუნდს, რომელიც შერჩევით გამრავლდა ბუნებაში ქვირითის შესამცირებლად;
- (გ) ჩანაწერებში მითითებული უნდა იყოს, თუ როგორ, სად და როდის შეგროვდა ველური სპერმა, რათა მიკვლევადობა შეგროვების ზონამდე უზრუნველყოფილი იყოს;
- (დ) ველური სპერმა შეიძლება შეგროვდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც უფლებამოსილმა კომპეტენტურმა ორგანომ ამის ნებართვა გასცა.

3.2.1. დაბინავება და მოვლა-პატრონობა

დაბინავებისა და მოვლა-პატრონობის პრაქტიკასთან დაკავშირებით მოქმედებს შემდეგი წესები:

- (ა) წარმოება შეიძლება განხორციელდეს პოლიკულტურულ სისტემაში, წყლის იმავე ზონაში, სადაც იწარმოება მდინარის ორგანული თევზი, წყალმცენარეები და დოკუმენტურად უნდა აღინუსხოს მდგრადი მენეჯმენტის გეგმაში. ორსაგდულიანი მოლუსკები ასევე შეიძლება გამოზარდონ პოლიკულტურულ სისტემაში გასტროფოდურ მოლუსკებთან ერთად, როგორცაა, ლიტორინები;
- (ბ) ორგანული ორსაგდულიანი მოლუსკის წარმოება უნდა განხორციელდეს ზონებში, რომლის საზღვრები დადგენილია ბოძებით, ტივტივებით ან სხვა მკაფიო ნიშნულით,, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეიზღუდოს ბადით, გალიებით ან ადამიანის მიერ გაკეთებული სხვა საშუალებებით;
- (გ) ორგანული მოლუსკების მეურნეობებმა უნდა შეამცირონ რისკები საკონსერვაციო სახეობებისთვის. თუ ბადეები გამოიყენება, მათი კონსტრუქცია ისეთი უნდა იყოს, რომ არ დააზიანოს მყვინთავი ფრინველები.

3.2.2. მოშენება

მოშენებისას უნდა გამოიყენებოდეს შემდეგი წესები:

- (ა) მიდიის ტროსებზე მოშენება, ასევე 15(3) მუხლში მოხსენიებულ აღმასრულებელ აქტებში ჩამოთვლილი სხვა მეთოდების, გამოყენება დასაშვებია ორგანულ წარმოებაში;
- (ბ) მოლუსკების ფსკერზე მოშენება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გამოიწვევს გარემოზე რაიმე მნიშვნელოვან ზემოქმედებას შეგროვებისა და გამოზრდის ადგილებზე. კვლევა და ანგარიში, რომელიც ადასტურებს გარემოზე მინიმალურ ზეგავლენას, უნდა დაემატოს მდგრადი მენეჯმენტის გეგმას ცალკე თავად და უნდა წარუდგინოს ოპერატორმა უფლებამოსილ კომპეტენტურ ორგანოს და საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილი მაკონტროლებელ ორგანოებს და მაკონტროლებელ ორგანოებს სამუშაოების დაწყებამდე.

3.2.4. მენეჯმენტი

მენეჯმენტისთვის გამოიყენება შემდეგი წესები:

(ა) წარმოების მიერ გამოყენებული ცხოველების სიმჭიდროვე არ უნდა აღმატებოდეს იმ მხარეში არაორგანული მოლუსკების წარმოებისათვის მიღებულ სიმჭიდროვეს. გადარჩევა, შეთხელება და ცხოველების სიმჭიდროვის კორექტირება უნდა მოხდეს ბიომასის მიხედვით და უზრუნველყოს ცხოველთა კეთილდღეობა და პროდუქციის მაღალი ხარისხი;

(ბ) გარსშემოზრდილი დამაბინძურებელი ბიოორგანიზმები უნდა მოცილდეს ფიზიკურად ან ხელით და საჭიროებისამებრ ჩაბრუნდეს ზღვაში მოლუსკის მეურნეობებისგან მოშორებით. კონკურენტი გარსშემოზრდილი ორგანიზმების გასაკონტროლებლად მოლუსკების დამუშავება წარმოების ციკლის განმავლობაში შეიძლება ერთხელ კირიანი ხსნარით.

3.2.5. მოშენების სპეციფიკური წესები ხამანწკებისთვის

პლატფორმებზე ტომრებში მოშენება ნებადართულია. ეს ან სხვა კონსტრუქციები, რომლებშიც ხამანწკები ჰყავთ უნდა მოეწყოს ისე, რომ ამათ არ წარმოქმნას სანაპირო ზოლის გასწვრივ მთლიანი ბარიერი. წარმოების ოპტიმიზაციისთვის ახალგაზრდა არსებები ფრთხილად უნდა განთავსდეს ქილებზე ზღვის მიმოქცევით გამოწვეული დინების მიმართულების გათვალისწინებით. წარმოება უნდა აკმაყოფილებდეს მე-15 (3) მუხლში მოხსენიებულ აღმასრულებელ აქტებში მითითებულ მოთხოვნებს.

ნაწილი IV: გადამუშავებული სურსათის წარმოების წესები

მე-9, მე-11 და მე-16 მუხლებით გათვალისწინებული წარმოების ზოგადი წესების გარდა, ამ ნაწილში დადგენილი წესები ვრცელდება გადამუშავებული სურსათის ორგანულ წარმოებაზე.

1. ზოგადი მოთხოვნები გადამუშავებული სურსათის წარმოების მიმართ.
 - 1.1. სურსათის გადასამუშავებლად გამოყენებული საკვებდანამატები, გადამუშავების დამხმარე საშუალებები, სხვა ნივთიერებები და ინგრედიენტები, ასევე გადამუშავების ნებისმიერი გამოყენებული მეთოდი, როგორებიცაა, შებოლვა, უნდა შეესაბამებოდეს წარმოების სანიმუშო პრაქტიკის პრინციპებს.
 - 1.2. გადამუშავებული სურსათის მწარმოებელმა ოპერატორებმა უნდა ჩამოაყალიბონ და განაახლონ შესაბამისი პროცედურები გადამუშავების კრიტიკული ეტაპების სისტემატური იდენტიფიცირების საფუძველზე.
 - 1.3. პუნქტში 1.2 მოხსენიებულმა პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს, რომ წარმოებული გადამუშავებული პროდუქტები მუდმივად აკმაყოფილებდეს ამ რეგულაციას.
 - 1.4. ოპერატორებმა უნდა დაიცვან და განახორციელონ 1.2 პუნქტში მითითებული პროცედურები და 28-ე მუხლის დარღვევის გარეშე უნდა განახორციელონ შემდეგი ქმედებები. კერძოდ:

- (ა) მიიღონ გამაფრთხილებელი ზომები და შეინახონ ამ ზომებთან დაკავშირებული ჩანაწერები;
- (ბ) განახორციელონ დასუფთავების შესაბამისი ღონისძიებები, ჩაატარონ ეფექტიანობის მონიტორინგი და აწარმოონ ამ ოპერაციების აღრიცხვის ჩანაწერები;
- (გ) უნდა უზრუნველყონ, რომ არაორგანული პროდუქტები ორგანული წარმოების ნიშანდებით არ გაიტანონ ბაზარზე.

1.5. ორგანული, კონვერსიული და არაორგანული გადამუშავებული პროდუქტების დამზადება-დამუშავება უნდა იყოს დროში და სივრცეში ერთმანეთისგან განცალკევებული. თუ შესაბამის საწარმოო ერთეულში ორგანული, კონვერსიული და არაორგანული პროდუქტების ნებისმიერი კომბინაციით წარმოება ან შენახვა ხორციელდება, ოპერატორი ვალდებულია:

- (ა) ამის შესახებ აცნობოს უფლებამოსილ კომპეტენტურ ორგანოს ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ მაკონტროლებელ ორგანოს ან მაკონტროლებელ ორგანოს;
- (ბ) უწყვეტად ჩაატაროს გადამუშავების ოპერაციები საწარმოო ციკლის დასრულებამდე ისე, რომ დროში ან სივრცეში გაიმიჯნოს ნებისმიერი სხვა ტიპის პროდუქტი (ორგანული, კონვერსიული ან არაორგანული) წარმოებისას გამოყენებული ანალოგიური ოპერაციებისგან;
- გ) შეინახოს ორგანული, კონვერსიული და არაორგანული პროდუქტები გადამუშავების ოპერაციებამდე და მათ შემდეგ ერთმანეთისგან გამიჯნულად დროში ან სივრცეში;
- (დ) ხელმისაწვდომი გახადოს განახლებული ნუსხა გადამუშავების ყველა ოპერაციებისა და გადამუშავებული რაოდენობების შესახებ;
- (ე) მიიღოს აუცილებელი ზომები პარტიების იდენტიფიკაციისა და ორგანული, კონვერსიული და არაორგანული პროდუქტების შერევის ან შეცვლის თავიდან ასაცილებლად;
- (ვ) განახორციელოს ორგანულ ან კონვერსიულ პროდუქტებთან დაკავშირებული ოპერაციები მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო აღჭურვილობის სათანადო დასუფთავების შემდეგ.

1.6. პროდუქტები, ნივთიერებები და მეთოდები, რომლებიც აღადგენენ ორგანული სურსათის გადამუშავებისა და შენახვის პროცესში დაკარგულ თვისებებს, ასწორებენ ორგანული სურსათის გადამუშავებისას დაუდევრობით გამოწვეულ შედეგებს ან რომლებმაც სხვაგვარად შეიძლება შეიყვანონ შეცდომაში

მომხმარებელი პროდუქტების ნამდვილ ბუნებასთან დაკავშირებით, არ უნდა გამოიყენონ.

1.7. ოპერატორებმა ხელმისაწვდომად უნდა შეინახონ დოკუმენტური მტკიცებულებები გადამუშავებული ორგანული საკვების წარმოებისთვის არაორგანული სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტების გამოყენების ნებართვების შესახებ 25-ე მუხლის შესაბამისად, თუ მათ მიიღეს ან გამოიყენეს ასეთი ნებართვები.

2. დეტალური მოთხოვნები გადამუშავებული სურსათის წარმოებისთვის

2.1. გადამუშავებული ორგანული სურსათის შედგენილობის მიმართ შემდეგი პირობები უნდა დაკმაყოფილდეს:

(ა) პროდუქტი უნდა იწარმოებოდეს ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტების ან იმ პროდუქტებისგან, რომლებიც გამოიყენება, როგორც სურსათი და მოცემულია I დანართის ჩამონათვალში იმისათვის, რომ დადგინდეს წარმოებულია თუ არა პროდუქტი ძირითადად ამ პროდუქტებისგან, დამატებული წყალი და მარილი მხედველობაში არ უნდა მიიღონ;

(ბ) ორგანული ინგრედიენტი არ უნდა გამოიყენონ არაორგანული წარმომავლობის მსგავს ინგრედიენტთან ერთად;

(გ) კონვერსიული ინგრედიენტი არ უნდა გამოიყენონ ორგანული ან არაორგანული წარმომავლობის მსგავს ინგრედიენტთან ერთად.

2.2. გარკვეული პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება სურსათის გადამუშავებისას

2.2.1. სურსათის გადამუშავებისას შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ ის საკვებდანამატები, გადამამუშავების დამხმარე საშუალებები და არაორგანული სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტები, რომელთა გამოყენება ორგანულ წარმოებაში ნებადართულია 24-ე ან 25-ე მუხლის შესაბამისად. ასევე შესაძლებელია 2.2.2 პუნქტში აღნიშნული პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება სურსათის გადამუშავებისას. ეს არ ეხება ღვინის სექტორის პროდუქტებსა და ნივთიერებებს, რომლებზეც ვრცელდება VI ნაწილის მე-2 პუნქტი და ასევე საფუარს, რომელზეც ვრცელდება VII ნაწილის 1.3 პუნქტი.

2.2.2. სურსათის გადამუშავებისას შემდეგი პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება შეიძლება:

(ა) სურსათის გადამუშავებისას ჩვეულებრივ გამოყენებული მიკროორგანიზმებისა და სასურსათო ენზიმების პრეპარატები, თუ

საკვებდანამატებად გამოსაყენებელი სასურსათო ენზიმები ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართულია 24-ე მუხლის შესაბამისად;

(ბ) ნივთიერებები და პროდუქტები, რომლებიც მარკირებულია, როგორც ბუნებრივი არომატიზატორები ან ბუნებრივი არომატიზატორების პრეპარატები;

(გ) საღებავები ხორცისა და კვერცხის ნაჭუჭის ბეჭდით ნიშანდებისთვის;

(დ) ბუნებრივი საღებავები და მოხარშული კვერცხის ნაჭუჭის ტრადიციული დეკორატიული ბუნებრივი საღებავი ნივთიერებები, რომლებიც წარმოებულია წლის კონკრეტულ პერიოდში ბაზარზე განსათავსებლად;

(ე) სასმელი წყალი და ორგანული ან არაორგანული მარილი (ნატრიუმის ქლორიდი ან კალიუმის ქლორიდი, როგორც ძირითადი კომპონენტები), რომლებიც ზოგადად გამოიყენება სურსათის გადამამუშავებაში;

(ვ) მინერალები (მიკროელემენტების ჩათვლით), ვიტამინები, ამინმჟავები და მიკროელემენტები, იმ პირობით:

(i) თუ ჩვეულებრივი მოხმარების სურსათში მათი გამოყენება 'პირდაპირ კანონიერად აუცილებელია', ვინაიდან პირდაპირ მოითხოვება ევროკავშირის კანონმდებლობის ან ეროვნული კანონმდებლობის დებულებებით იქიდან გამომდინარე, რომ სურსათი ბაზარზე საერთოდ ვერ განთავსდება ჩვეულებრივი მოხმარებისთვის, თუ არ არის დამატებული აღნიშნული მინერალები, ვიტამინები, ამინმჟავები ან მიკროელემენტები; ან

(ii) თუ ბაზარზე განთავსებულ სურსათს აქვს განსაკუთრებული მახასიათებლები ან გავლენა ჯანმრთელობასა და კვებაზე ან მომხმარებელთა სპეციფიკური ჯგუფების საჭიროებებზე.

2.2.3. გადამამუშავების ეტაპზე დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის უნდა გამოიყენონ მხოლოდ 24-ე მუხლის თანახმად ნებადართული პროდუქტები. ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს ამ პროდუქტების გამოყენების ჩანაწერები, რომელიც მოიცავს თითოეული პროდუქტის გამოყენების თარიღს ან თარიღებს, პროდუქტის დასახელებას, მის აქტიურ ნივთიერებებსა და გამოყენების ადგილს.

2.2.4. 30-ე (5) მუხლში მითითებული პირობის გამოსაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი წესები:

(ა) 24-ე მუხლის შესაბამისად, ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართული გარკვეული საკვებდანამატები უნდა ჩაითვალოს, როგორც სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტები;

(ბ) 2.2.2 პუნქტის (ა), (გ), (დ), (ე) და (ვ) ქვეპუნქტებში მითითებული პრეპარატები და ნივთიერებები არ უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტებად;

გ) საფუარი და მისი პროდუქტები უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტებად.

2.3 ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს სურსათის წარმოებაში ნებისმიერი პროდუქტის გამოყენების ჩანაწერი. შერეული პროდუქტის წარმოების შემთხვევაში, უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოს ან მაკონტროლებელი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრული რეცეპტი/ფორმულა, რომლებშიც ასახულია ნედლეულისა და მზა პროდუქციის რაოდენობა.

Part V: ცხოველის გადამუშავებული საკვების

წარმოების წესები

მე-9, მე-11 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული წარმოების ზოგადი წესების გარდა, მოცემულ ნაწილში დადგენილი წესები ვრცელდება გადამუშავებული ცხოველთა საკვების ორგანულ წარმოებაზე.

1. ზოგადი მოთხოვნები გადამუშავებული ცხოველის საკვების წარმოების მიმართ
 - 1.1. ცხოველთა საკვების საკვებდანამატები, გადამუშავების დამხმარე საშუალებები, სხვა ნივთიერებები და ინგრედიენტები და გადამუშავების ნებისმიერი გამოყენებული მეთოდი, როგორებიცაა, შებოლვა, უნდა აკმაყოფილებდეს წარმოების სანიმუშო პრაქტიკის პრინციპებს.
 - 1.2. გადამუშავებული ცხოველის საკვების მწარმოებელმა ოპერატორებმა უნდა ჩამოაყალიბონ და განაახლონ შესაბამისი პროცედურები გადამუშავების კრიტიკული ეტაპების სისტემატური იდენტიფიცირების საფუძველზე.
 - 1.3. პუნქტში 1.2 მოხსენიებულმა პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს, რომ წარმოებული გადამუშავებული პროდუქტები მუდმივად აკმაყოფილებდეს წინამდებარე რეგულაციას.
 - 1.4. ოპერატორებმა უნდა დაიცვან და შეასრულონ 1.2 პუნქტში მითითებული პროცედურები და 28-ე მუხლის დარღვევის გარეშე უნდა გაატარონ შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

(ა) მიიღონ გამაფრთხილებელი ზომები და შეინახოს ამ ზომების შესახებ ჩანაწერები;

- (ბ) განახორციელონ დასუფთავების შესაბამისი ღონისძიებები, ჩაატარონ ეფექტიანობის მონიტორინგი და აწარმოონ ამ ოპერაციების აღრიცხვის ჩანაწერები;
- (გ) უნდა უზრუნველყონ, რომ არაორგანული პროდუქტები ორგანული წარმოების ნიშანდებით არ იყოს ბაზარზე განთავსებული.

1.5. ორგანული, კონვერსიული და არაორგანული გადამუშავებული პროდუქტების დამზადება-დამუშავება უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან დროსა და სივრცეში. თუ შესაბამის დამზადება-დამუშავების საწარმოო ერთეულში ნებისმიერი კომბინაციით აწარმოებენ ან ინახავენ ორგანულ, კონვერსიულ და არაორგანულ პროდუქტებს, ოპერატორი ვალდებულია:

- (ა) ამის შესახებ აცნობოს უფლებამოსილ კომპეტენტურ ორგანოს ან, საჭიროების შემთხვევაში, მაკონტროლებელ ორგანოს;
- (ბ) უწყვეტად განახორციელოს გადამუშავების ოპერაციები საწარმოო ციკლის დასრულებამდე ისე, რომ დროში ან სივრცეში იყოს გამიჯნული ნებისმიერი სხვა ტიპის პროდუქტის (ორგანული, კონვერსიული ან არაორგანული) წარმოებისას გამოყენებული ანალოგიური ოპერაციებისგან;
- (გ) შეინახოს ორგანული, კონვერსიული და არაორგანული პროდუქტები, გადამუშავების ოპერაციებამდე და მათ შემდეგ ერთმანეთისგან გამიჯნულად დროში ან სივრცეში;
- (დ) ხელმისაწვდომი გახადოს განახლებული რეესტრი გადამუშავების ყველა ოპერაციისა და გადამუშავებული რაოდენობის შესახებ;
- (ე) მიიღოს აუცილებელი ზომები პარტიების იდენტიფიკაციისა და ორგანული, კონვერსიული და არაორგანული პროდუქტების შერევის ან შეცვლის თავიდან ასაცილებლად;
- (ვ) განახორციელოს ორგანულ ან კონვერსიულ პროდუქტებთან დაკავშირებული გადამუშავების ოპერაციები მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო აღჭურვილობის სათანადო დასუფთავების შემდეგ.

2. დეტალური მოთხოვნები გადამუშავებული ცხოველის საკვების წარმოების მიმართ

2.1. ორგანული ცხოველის საკვების პროდუქტების შედგენილობაში ორგანული ან კონვერსიული საკვები მასალები არ უნდა შედიოდეს არაორგანული გზით წარმოებულ იმავე საკვების მასალებთან ერთად.

2.2. ორგანულ წარმოებაში გამოყენებული ან გადამუშავებული ცხოველის საკვების

ნებისმიერი მასალა არ უნდა გადამუშავდეს ქიმიურად სინთეზირებული გამხსნელების დახმარებით.

2.3. ცხოველის საკვების გადამუშავებისას შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ მცენარეული, წყალმცენარეული, ცხოველური ან საფუვრის წარმოშობის არაორგანული საკვები მასალები, მინერალური წარმოშობის საკვები მასალა, 24-ე მუხლის შესაბამისად ორგანულ წარმოებაში გამოყენებისთვის ნებადართული საკვებდანამატები და გადამუშავების დამხმარე საშუალებები.

2.3. გადამუშავების ეტაპზე დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის უნდა გამოიყენონ მხოლოდ 24-ე მუხლის თანახმად ნებადართული პროდუქტები. ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს ამ პროდუქტების გამოყენების ჩანაწერები, მათ შორის ინფორმაცია თითოეული პროდუქტის გამოყენების თარიღის ან თარიღების, პროდუქტის დასახელების, მისი აქტიური ნივთიერებების და გამოყენების ადგილის შესახებ.

2.4. ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს საკვების წარმოებაში გამოყენებული ნებისმიერი პროდუქტის ჩანაწერები. შერეული პროდუქტების წარმოების შემთხვევაში, უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოსა ან მაკონტროლებელი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრული რეცეპტები/ფორმულები, რომლებშიც ასახულია ნედლეულისა და მზა პროდუქციის რაოდენობები.

ნაწილი VI: ღვინო

1. მოქმედების სფერო
 - 1.1. მე-9, მე-10, მე-11, მე-16 და მე-18 მუხლებში დადგენილი წარმოების ზოგადი წესების გარდა, მოცემულ ნაწილში დადგენილი წესები ვრცელდება ღვინის სექტორის პროდუქციის ორგანულ წარმოებაზე.
2. გარკვეული პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება
 - 2.1. ღვინის სექტორის პროდუქტები უნდა იწარმოოს მხოლოდ ორგანული ნედლეულიდან.
 - 2.2. ღვინის სექტორის პროდუქციის დასამზადებლად, მათ შორის, ენოლოგიური პრაქტიკის, პროცესების განხორციელების და დამუშავებისას მხოლოდ 24-ე მუხლის შესაბამისად ორგანულ წარმოებაში ნებადართული პროდუქტები და ნივთიერებები უნდა გამოიყენონ.
 - 2.3. ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს ჩანაწერები ღვინის წარმოებაში გამოყენებული ნებისმიერი პროდუქტისა და ნივთიერების გამოყენების და აგრეთვე დასუფთავებისა და დეზინფექციის შესახებ, რომლებშიც მითითებულია

CAUCASCERT LLC	Production Rules and Recordkeeping Rules ბიოწარმოების და ჩანაწერების წარმოების წესები	Code: GC-DM-PRRR-10.10
----------------	--	---

თითოეული პროდუქტის გამოყენების თარიღი ან თარიღები, პროდუქტის დასახელება, მისი აქტიური ნივთიერებები და სადაც მიზანშეწონილია, გამოყენების ადგილი.

3. ენოლოგიური პრაქტიკა და შეზღუდვები

3.1. მოცემული ნაწილის 1-ლ და მე-2 სექციებთან წინააღმდეგობაში შეუსვლელად და 3.2, 3.3 და 3.4 პუნქტებში მითითებული სპეციფიკური აკრძალვებისა და შეზღუდვების მხედველობაში მიღებით ნებადართულია მხოლოდ იმ ენოლოგიური პრაქტიკის გამოყენება, დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, რომელიც მითითებულია ევროკავშირის რეგულაციის (EU) No 1308/2013 მე-80 და 83(2)-ე მუხლებში, ევროკომისიის რეგულაციის (EC) No 606/2009 მე-11 – მე-14 მუხლებში და იმ რეგულაციების დანართებში, რომლებიც გამოიყენებოდა 2010 წლის 1 აგვისტომდე.

3.2. უნდა აკრძალოს შემდეგი ენოლოგიური პრაქტიკის, პროცესებისა და დამუშავების გამოყენება:

- (ა) ნაწილობრივი კონცენტრირება გაგრილებით;
- (ბ) გოგირდის დიოქსიდის მოცილება ფიზიკური მეთოდებით;
- (გ) ელექტროდიალიზის გამოყენება ღვინის მდგრადობის შესანარჩუნებლად;
- (დ) ღვინის ნაწილობრივი დეალკოჰოლიზაცია;
- (ე) კათიონების შემცვლელების გამოყენება ღვინის მდგრადობის შესანარჩუნებლად.

3.3. შემდეგი ენოლოგიური პრაქტიკის, პროცესებისა და დამუშავების გამოყენება ნებადართულია ქვემოთ მოცემული პირობებით:

- (ა) თერმული დამუშავება, თუ ტემპერატურა არ აღემატება 75°C-ს;
- (ბ) ცენტრიფუგირება და ფილტრაცია ინერტული ფილტრაციის საშუალებების გამოყენებით ან მის გარეშე იმ პირობით, რომ ფილტრის ფორების ზომა 0,2 მიკრომეტრზე მცირე არ იქნება.

3.4. 2010 წლის 1 აგვისტოს შემდეგ მიღებული ნებისმიერი ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ენოლოგიურ პრაქტიკასთან, პროცესებთან და დამუშავებასთან, შეიძლება გამოიყენებოდეს ღვინის ორგანულ წარმოებაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ღონისძიებები აისახება რეგულაციის ამ განაყოფში, როგორც ნებადართული და საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე რეგულაციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული შეფასება ჩატარდება.

Created: ND Date: 01.01.22	Revised: EP, ZN, Date: 07.04.24	Authorised: QM Date: 07.04.24	Version # 2	Nonconfidential	pages: 59- of 61
-------------------------------	------------------------------------	----------------------------------	-------------	-----------------	---------------------

ნაწილი VII: სურსათად ან ცხოველის საკვებად გამოყენებული საფუარი

მე-9, მე-11, მე-16, მე-17 და მე-19 მუხლებში დადგენილი ზოგადი წარმოების წესების გარდა, ამ ნაწილში დადგენილი წესები ვრცელდება საფუარის ორგანულ წარმოებაზე, რომელიც გამოიყენება სურსათად ან ცხოველის საკვებად.

1. ზოგადი მოთხოვნები
 - 1.1. ორგანული საფუარის წარმოებისთვის გამოიყენება მხოლოდ ორგანულად წარმოებული სუბსტრატები. თუმცა 2024 წლის 31 დეკემბრამდე სუბსტრატში არაორგანული საფუარის ექსტრაქტის ან ავტოლიზატის 5%-ის დამატება (მშრალი ნივთიერების წონაზე გადაანგარიშებით) დასაშვებია ორგანული საფუარის წარმოებისთვის, თუ ოპერატორებს არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ საფუარის ექსტრაქტი ან ავტოლიზატი ორგანული წარმოებიდან.
 - 1.2. ორგანული საფუარი არ უნდა იყოს გამოყენებული ორგანულ სურსათში ან საკვებში არაორგანულ საფუართან ერთად.
 - 1.3. ორგანული საფუარის წარმოებაში, საკონდიტრო წარმოებასა და მის შედგენილობაში შესაძლებელია შემდეგი პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება:
 - (ა) 24-ე მუხლის შესაბამისად, ორგანულ წარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართული გადამუშავების დამხმარე საშუალებები,
 - (ბ) ნაწილ IV პუნქტის 2.2.2. (ა), (ბ) და (ე) ქვეპუნქტებში მითითებული პროდუქტები და ნივთიერებები.
 - 1.4. გადამუშავების ეტაპზე დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ ის პროდუქტები, რომლებიც ამ მიზნით ნებადართულია 24-ე მუხლის შესაბამისად.
 - 1.5. ოპერატორებთან უნდა ინახებოდეს საფუარის წარმოებაში, და დასუფთავებასა და დეზინფექციაში გამოყენებული ნებისმიერი პროდუქტისა და ნივთიერების შესახებ ჩანაწერები, რომლებშიც ასახულია, თითოეული პროდუქტის გამოყენების თარიღი ან თარიღები, პროდუქტის დასახელება, მისი აქტიური ნივთიერებები და გამოყენების ადგილი.

CAUCASCERT LLC	Production Rules and Recordkeeping Rules ბიოწარმოების და ჩანაწერების წარმოების წესები	Code: GC-DM-PRRR-10.10
----------------	--	---

მიითითებული ევროპული რეგულაციები:

- (¹) Council Regulation (EC) No 1/2005 of 22 December 2004 on the protection of animals during transport and related operations and amending Directives 64/432/EEC and 93/119/EC and Regulation (EC) No 1255/97 ([OJ L 3, 5.1.2005, p. 1](#)).
- (²) Council Regulation (EC) No 1099/2009 of 24 September 2009 on the protection of animals at the time of killing ([OJ L 303, 18.11.2009, p. 1](#)).
- (³) Council Directive 2008/119/EC of 18 December 2008 laying down minimum standards for the protection of calves ([OJ L 10, 15.1.2009, p. 7](#)).
- (⁴) Directive 2011/92/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on the assessment of the effects of certain public and private projects on the environment ([OJ L 26, 28.1.2012, p. 1](#)).
- (⁵) Regulation (EC) No 854/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 laying down specific rules for the organisation of official controls on products of animal origin intended for human consumption ([OJ L 139, 30.4.2004, p. 206](#)).
- (⁶) Good manufacturing practices (GMPs) as defined in Article 3(a) of Commission Regulation (EC) No 2023/2006 of 22 December 2006 on good manufacturing practice for materials and articles intended to come into contact with food ([OJ L 384, 29.12.2006, p. 75](#)).
- (⁷) Regulation (EU) No 609/2013 of the European Parliament and of the Council of 12 June 2013 on food intended for infants and young children, food for special medical purposes, and total diet replacement for weight control and repealing Council Directive 92/52/EEC, Commission Directives 96/8/EC, 1999/21/EC, 2006/125/EC and 2006/141/EC, Directive 2009/39/EC of the European Parliament and of the Council and Commission Regulations (EC) No 41/2009 and (EC) No 953/2009 ([OJ L 181, 29.6.2013, p. 35](#)).
- (⁸) Commission Directive 2006/125/EC of 5 December 2006 on processed cereal-based foods and baby foods for infants and young children ([OJ L 339, 6.12.2006, p. 16](#)).
- (⁹) Commission Regulation (EC) No 606/2009 of 10 July 2009 laying down certain detailed rules for implementing Council Regulation (EC) No 479/2008 as regards the categories of grapevine products, oenological practices and the applicable restrictions ([OJ L 193, 24.7.2009, p. 1](#)).
- (¹⁰) Commission Regulation (EC) No 607/2009 of 14 July 2009 laying down certain detailed rules for the implementation of Council Regulation (EC) No 479/2008 as regards protected designations of origin and geographical indications, traditional terms, labelling and presentation of certain wine sector products ([OJ L 193, 24.7.2009, p. 60](#)).

Created: ND Date: 01.01.22	Revised: EP, ZN, Date: 07.04.24	Authorised: QM Date: 07.04.24	Version # 2	Nonconfidential	pages: 61- of 61
-------------------------------	------------------------------------	----------------------------------	-------------	-----------------	---------------------